



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგობიღ ბუქ-
უბი სიფყავა, ფყიღობით და ჭბრბით ბუბ-
თის გაცანა ყულა უკარბისბბაღ უსამაღოლსია.

ბაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი, 13 მაისი. 2022 წ. №60 (9398) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge უსანი 1 ლარი

ბანკი ყველგან მყვლეფაჟია!



ვიქტორ ყიფიანი:

ბიძინა ივანიშვილი ჭყყუნის აროვნულ ინტერესებს მუღამ იცავს! ②

ნედ პრანსი: ნატოს ლია კარის პოლიტიკა განსილვას არ ექვემდებარება!




შისაბამისი განცხადება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გაკეთდა. ჟურნალისტის კითხვაზე, რუსეთთან სამშვიდობო შეთავაზების მიზნით, იტყვის თუ არა შვედეთის შტატები ნატოს გაფართოებაზე უარს უკრაინასა და საქართველოსთან მიმართებით, სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის ნედ პრანსი პასუხობს, რომ რუსეთმა უკრაინაში ომი ისე წამოიწყო, რომ პასუხი ვაშინგტონის მიერ წარდგენილ წინადადებაზე არ ჰქონდა გაცემული.
„ვიდრე ვლადიმერ პუტინი ომს წამოიწყო, ჩვენ ძალიან მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ მზად ვიყავით, განგვეხილა ზოგიერთი საკითხი, რომელიც რუსეთმა მაგიდაზე დადო. იყო კონკრეტული ნაბიჯები, კონკრეტული დისკუსიები, რომლებიც, მიგვაჩნდა, რომ ხელს შეუწყობდა ტრანსატლანტიკური საზოგადოების უსაფრთხოებას და მოსკოვის ზოგიერთ პრობლემასაც გადაჭრიდა. რუსეთმა ამაზე უარი თქვა. რაც შეეხება ნატოს, ჩვენ ძალიან მკაფიოდ ვამბობთ, რომ ნატოს ღია კარი ღია კარს ნიშნავს. ეს მნიშვნელოვანია ჩვენთვის და განხილვას არ ექვემდებარება“, – განაცხადა პრანსმა.

საინტერესოა „როსკომინის“ ხელმძღვანელის როგორმინის 8 მაისს ბაჟეთიგული განცხადება, რომ რუსეთს შეუძლია ნახევარ საათში ბანაღბურს ნატოს ჭყყუნა, მარბამ ეს ღაუშვბაღია, რაღბან კოსმოსში ღაღამინის რყვბა შეიძლება ბაგოდისფიოს ღა, ვარაჟინ იტყვის, რა შეღაბს მღუბანს იბი მსოფლიოსო.

პაიბე, ღადი, ყელაღე! ③

საბაშვილის საქართველოში შემოკარბამ არ ბაბარტილა, ახლა ჰი მიზანს ივანიშვილმა „ზენოლით“ მივალნავთო!



ოთარ ფასაცია შვილიშვილი ნიკა წყაროხიასთან ერთად

შორს ჩემგან ყველა, ვისაც უცნებლო გული და უცნებლო თვალი ექნებოდა, წერდა ერთ-ერთი ჩვენი წინაპარი.
ადამიანი მუნების შვილია, შრომისთვის, წვალებისთვის, ცოტა მედნიერებისა და ღიღი, ძალიან ღიღი თვითგვემისთვის დაბადებულა.
ღიღიდან გაჩენისა, ადამიანი საკუთარ ცხოვრებას თვითონ ქმნის, ხან – სახელოვანს, ხანაც – უსახელოს.
ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე, რომელსაც საქართველო ჰქვია, იმდენი სახელოვანი, სამაგალითო, თითო საჩვენებელი ადამიანი გვეყოლია, უცნებლო გულით და უცნებლო თვალით ვერ გაიხსენებ.
და ეს ცნებელი, სევდასთან ერთად, სიხარულის ალალი ცნებელიცაა!
წლების განმავლობაში ბოლო დროის (სახელდობრ, მეოცე საუკუნის) ღირსეულ ქართველთა ცნებ-

კერაქსოხისკან მათი ხსოვნა მრს აბარია

წარუშლელი კვალი საუკუნეში...

ლიან წარმოჩენას ემსახურებოდა ცნობილი ეკონომისტისა და პუბლიცისტის ანზორ ბაბუხადიას საავტორო გაზეთი „თანადგომა“, რომელიც ლეგენდარულ ბურაბ ანჯაფარაბის ფონდის თაოსნობით დაარსდა და 20 წელიწადი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცემოდა.
„თანადგომაში“ განთავსებული მასალები, ძირითადად ქართული სიტყვიერების საუკუნოვანი ცოცხალი ბრენდის „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე იყო მიმოფანტული საიუბილეო სტატიების, ნარკვევების და ნეკროლოგების სახით... ამას ემატებოდა ანზორ ბაბუხადიას დაუბნებელი თხოვნით შექმნილი სახელდასხელო წერილები ჩვენი ნიჭიერი კალმოსნებისა და... მკითხველის თვალწინ კიდევ ერთხელ ცოცხლდებოდა გამოჩენილ ქართველ ხელოვანთა, მწერალთა, სპორტსმენტთა თუ სახელმწიფო მოღვაწეთა შესანატრი პორტრეტები.
„საქართველოს რესპუბლიკის“ დღევანდელ ნომერში უშურველად წარმოგიდგენთ საოცარი უბრალოებით, სიღრმით, გარჯით და ყოველივე ქართულის სიყვარულით გამოჩნეულ პიროვნებას **ოთარ ფასაციას** – ჭეშმარიტ მამულიშვილს, შურსა და ბონობებზე მუღამ მაღლა მდგომს, კონკრეტული საქმის უბადო შემსრულებელს, ყველას თანამდგომსა და დამფასებელს...

ამით ჩვენი გაზეთი იწყებს ახალი ფუნქციის აღსრულებას – არ დავივიწყოთ ერისთვის სამაგალითო ადამიანთა ღვაწლი და გავავებინოთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, რომ მათი სსოვნა ერს აბარია!
ყველა დროის ყველაზე ღიღი ქართველი ჟურნალისტი, რედაქტორი, „ივერიის“ გამომცემელი, მწერალი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე 150 წლის წინათ „გაბრაზებულნი“ წერდა: „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე დაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზე დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და ვარდაუდელი, როგორც ყოველივე მუნებრივი კანონი“...
ღირსეული ქართველები ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ეროვნული ბურჯები არიან, ამიტომ დამოუკიდებელი საქართველოს პირმშო გაზეთმა, როგორც 1918 წლის 25 ივლისიდან ქვეყნის მთავარმა მემბტიანემ, ღირსეულ მამულიშვილებზე საკუთარი სათქმელი უნდა თქვას!
გავუფრთხილდეთ ქართულ ტრადიციებს, ვენლოთ ერთმანეთს, მოვეფეროთ ერთმანეთს და ამით რწმენა შევმატოთ ჩვენს იმედს და მომავალს – ქართველ ახალგაზრდობას!..

სპარტაკ ძოგულია
იბ. 5-6-7 გვ.

ისტორიას ჩაბარდა ფაშიზმზე გამარჯვების კიდევ ერთი, 77-ე წელი. იგი ჩვეულებრივად ზემოთ აღინიშნა (მეტნაკლებად) ყველა ქვეყანაში. მოზივითა შორის არ იყო მხოლოდ უკრაინა, რომელიც დღეს თავისი გამარჯვებისთვის იბრძვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

საკმაოდ დიდი დღესასწაული გაიმართა რუსეთში, რომელიც უკრაინას სისხლის ზღვაში ახრჩობს. წითელი მოედანი მოხეიმეებს ვერ იტყვდა, მაგრამ უმაღლესამხარული იყო, რომ ზემოთ მარული აკლდა. რაღაც ლაღად და „სახალხოოდ“ ვერ მხიარულობდნენ. ომის შემოქმედის, ბლიცკრიგში დამარცხებულის, პრეზიდენტ პუტინის სიტყვა ერთობ უღიმღამო, დიდი ვერაფრის მთქმელი იყო, თვითონ ვლადიმერ ვლადიმირის ძეს სახეზე ზეთი ჩამოსდიოდა.

ელოდნენ, რომ ამ დღეს რუსეთის მთავარსარდალი უკრაინას ოფიციალურად გამოუცხადებდა ომს და რუსეთი „სპეცოპერაციიდან“ ომის რეჟიმზე გადავიდოდა. ყველასთვის მოულოდნელად მან ამ სამარცხვინო, ძმათა მკვლეელი ომის რაც შეიძლება სწრაფად დასრულების მოსურნე მომლოდინე ხალხი დააღალატა, ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ერთი სიტყვით, რუსეთი ომის გაჭიანურების ტაქტიკაზე გადადის. სხვათა შორის, ეს ვითარება აშშ სამხედრო დაზვერვაშიც დაადასტურა.

საინტერესოა „როსკოსმოსის“ ხელმძღვანელის როგორი (ის უთუოდ ცნობილი ქორი, სახელწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი, ალერახსნილი ქართველთაშორის რეგონია) მისის გაკეთებული განცხადება, რომ რუსეთს შეუძლია ნახევარ საათში გაანადგუროს ნატოს ქვეყნები, მაგრამ ეს დაუშვებელია, რადგან კოსმოსში დედამიწის რყევა შეიძლება გამოიწვიოს და, ვერაფერ იტყვის, რა შედეგს მოუტანს იგი მსოფლიოსო.

აშკარაა ევროპის ბირთვული იარაღით განადგურების მიუქარა. ასეთი მიუქარა ადრეც იყო. ეს უთუოდ სიმპტომურია. თუ რუსეთი ამ მიმდინარე ომში დამარცხდება, კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებს. ოლონდისიცი ნაღია, რომ მასაც დედა ეტირება. მაგრამ ჩვენ უკეთესი მოლოდინი ვიქონიოთ.

რუსებს უყვარდათ რიტორიკული თქმა, როცა მიხაკისფერი ჭირი გერმანიას და იქიდან მთელ მსოფლიოს მოედო, „სად იყო მამინ გერმანელი ხალხი, რატომ ხმას არ იღებდაო?“ ახლა სად არის „პროგრესის მედროზე“, ყველას მამიდა რუსი ხალხი, როცა მისმა ხელისუფლებამ თვით რუსეთს და მსოფლიოს თავს მოახვია უკრაინასთან სამარცხვინო ომი? იმედი ვიქონიოთ, რომ რუსი ხალხი ბოლოს და ბოლოს ხმას ამოიღებს, თუ უკვე გვიან არ იქნა!

ჰო, აშკარად იკვეთება, რომ ეს ომი მალე არ დამთავრდება. ისიც იკვეთება, რომ, როცა სროლა და დაბომბვა შეწყდება, იგი ცივ ომად გაგრძელდება მეომარ ქვეყნებს შორის და კარგა ხანს გასტანს. ამის ნიშანბრობა უკვე გამოიკვეთა იმ საშინელი იდეოლოგიური დაპირისპირებით, რომელსაც საზღვარი არა აქვს. მან უკვე მიანია მეორე ომის პრაქტიკას, ფაშიზმსა



პაიპე, დედი, ყალბადე!..

და კომუნიზმს შორის არსებულ, ყოველგვარი კომპრომიზის გამომრიცხავ სტატუსს კვოს: **მტარი არის მტარი და არამითარი აღაზიანური მასში არ არის და არც შვიკლავა იყო!**

აი, როგორ დგას საქმე მოძმეების კი არა, ღვიძლი ძმების, რუსების და უკრაინელების დაპირისპირებაში.

და მაინც ისეთ ებიზოდსაც წაანყდები, ზემორე აპოკალიფსის ზმანება შეგიწელდება.

ამასწინათ ტელევიზიით ასეთი რამ ვნახე: მოდის რუსული ტანკი, ნელა, მაგრამ ჯიუტად. მოულოდნელად წინ გადაუდგება უკრაინელი ხანდაზმული კაცი და ცდილობს შიშველი ხელებით შეაჩეროს. აჩერებს კიდევ...

ამ კადრმა მსოფლიო მოიარა და დიდი გამოწვავა მოჰყვა. ალტაციაული ადამიანები და ტელეკომუნიკაციებით ავითრებული თვალებით ახრჩობდნენ, როგორ აჩერებდა მტარი რუსული ტანკი (უკვე რომც მრავლობით მოვლანას), ერთი შვათხვევა მასობრივ გმირობად იცა.

მეც მეზობელი უკრაინელი ხალხის გმირობით ვიყავი და ვარ გათანგული, ოლონდ, ხანდახან, ამასთან ერთად, სხვა რეალობასაც ვხედავ ქვეშეცნეულად.

ის ტანკი გაჩერდა. ოლონდ ხომ აშკარაა, რომ გაჩერდა არა მის წინ გადამდგარი კაცის დევგმირული მიწოლის გამო, არამედ იმიტომ, რომ შიგ მჯდომმა ტანკისტმა გააჩერა. ეს სრულიად არ ამცრობს უკრაინელის საარაკო ვაჟკაცობას, რომე-

ლიც სასონარკვეთილი მტრის ტანკს ხელით შეება. მას ხომ არავითარი შანსი არ ჰქონდა, რომ რუსი ჯარისკაცი არ გადაუვლიდა.

აფხაზეთის ომიდან (1993 წლის ივლისი იყო) დღემდე მკაფიოდ მახსოვს ასეთი ებიზოდი: სოხუმთან მარშით მიმავალ ტანკს (ჩვენს ტანკს!) საიდნაც ეშმაკად გამოხეტებული ღორი შეუვარდა. რაღაც შეკვივრებასავით ხმა და მორჩა. მუხლუხმა თითქოს გილიოტინით მოკვეთილი თავი გამოისროლა, ასფალტზე კი რაღაც უფორმო სისხლიანი სუბსტანცია დარჩა... აი, ასეთი უფორმო, სისხლიანი სუბსტანცია შეიძლება დარჩენილიყო იმ ვაჟკაცი-საგან, ტანკი რომ არ შეჩერებულიყო, რუს ტანკისტს, მტერსა და არაკაცს რომ არ შეეჩერებინა... და ახლა უთუოდ უნდა ვთქვა, ის ტანკისტი მტერი კი იყო, მაგრამ არაკაცი არამც და არამც არ ყოფილა, ისიც მისი მონინალმდევე უკრაინელივით ვაჟკაცი, რაინდი იყო, რასაც უთუოდ უნდა დანახვა. სხვაგვარად დღევანდელი მტრები სამუდამო მტრებად დარჩებიან.

კიდევ. უკრაინელი ქალბატონი თვალცრემლიანი ჰყვებოდა, ადამიანის სახედაკარგულმა რუსმა ჯარისკაცებმა დანგრეული სახლის სარდაფში, ჯურღმულში და მალული ქალები, ბავშვები და მოხუცები ზევით ამოგვრეკეს, ძალიან უხეშად გვექცოდნენ, გვაგინებდნენ, ბოლოს ცინიკური სახეებით პური დაგვირიგესო. მომკალით და კონკრეტულად ამ მომენტის ტრაგიკულობა ვერ აღვიქვი. გასაგებია, რომ მტრის ჯარისკაცებმა დამალული ადამიანები სულ ცემა-ტყეპითა და გინებით ამოიყვანეს ზევით. მტერი იმის მტერია, რომ მტრულად უნდა მოექცეს ყველას, ქალი იქნება თუ ბავშვი, მაგრამ მათი შემდგომი ქმედება ერთგვარად არბილებს მანამდე მხეცობასა და მზაკვრობას, „ცინიკური სახეებით“ პური რომ დაურეგეს შიმშილით გულგადაღულად ადამიანებს. ძირძირობამდე გათახსირებული და სულგაყიდული ავაზაკები ასე არ იქცევიან. ამასაც დანახვა უნდა...

ერთიც. ტელევიზიით ძალზე გასახარო ინფორმაცია გადმოიცა: წარმატებით შესრულდა უკრაინის პრეზიდენტის ბრძანება თუ განკარგულება ალყაშემორტყმული მარიუპოლიდან - „აზოვსტალის“ კატაკომბებიდან მოსახლეობის სამშვიდობოს გამოყვანის შესახებ. 600-მდე ქალი, ბავშვი, მოხუცი, რომლებიც ორი თვე ჯურღმულში იყვნენ ჩაბუდებულები, აკლდათ მზის სხივი, წყალი, საჭმელი და წამალი, საფრთხეს განერიდა. მაღლი უფალს! ვაშაა! ვის არ გაახარებს ეს ცნობა. ოლონდ ნუ დაგვავინყდება, რომ გადარჩენის ეს ოპერაცია მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მოალყეებმა, რომლებსაც იქ ყოველი მეტრი გამოთოფილი აქვთ, რამ-

დენჯერმე მოანყეს მწვანე დერეფანი და გაუბედურებული ხალხი გაატარეს.

რატომ მოვიყვანე ახლა ეს რამდენიმე ებიზოდი? იმიტომ, რომ ისინი რწმენას გვმატებს, ამ საყოველთაო ბოროტების ზემოთ ჟამსაც კი ადამიანი შეიძლება ადამიანად დარჩეს, მტერია ის თუ მოყვარე.

როგორც ვთქვით, ომის სწრაფად დასრულების იმედი არ უნდა გვექნოდეს და, რაც უფრო გაჭიანურდება, მით უფრო გაიზრდება შანსი, რომ მან, ბოლოს და ბოლოს, საქართველოც ჩაითრიოს.

სამისოდ ბევრთად, ყოვლად უსინდისოდ იღვწის ჩვენი რადიკალური ოპოზიცია. მისი უსამართლობის, მიკერძობების, ხელისუფლებასთან და ხელისუფლებისთვის სულგაყიდული ბრძოლის მაგალითად იმის განხილვაც კმარა, რაც ხელისუფლებას დღე აყარა, როცა მან დოკუმენტი მიიღო უკრაინაში გაჩაღებული ომის გამო: დამო აგრესორის ქმედება, სრულად დაუჭირა მხარი უკრაინას და შეძლებისდაგვარად დახმარება აღუთქვა. აგრესორი და მტერი კი, მაგრამ სიტყვა რუსეთი არ უხსენებია, რადგან თავისთავად იგულისხმებოდა. როგორ თუ სიტყვა „რუსეთი“ არ გამოკვეთაო, მოსდგნენ მაგრამ რას მოსდგნენ. მთელ მსოფლიოში გაავრცელეს უკეთური ხმა, საქართველოს ხელისუფლება რუსეთს უჭერს მხარსო. ეს უმართებულო აზრი სწორედ მას შემდეგ ბოგინობს, კივიის ხელისუფლების მხრიდან სწორედ მას შემდეგ ცვივა კენჭები ჩვენს ბოსტანში.

ეს ამბავი ამ დღეებში ვატიკანში ჩატარებულმა რომის პაპის ფრანცისკეს ქადაგებამ გამახსენა. წმინდა პეტრეს ტაძართან შეკრებილ ასიათასობით მრევლს ესაუბრა უკრაინაში მიმდინარე ომზე, დაგმო აგრესორი, მინასთან გაასწორა მისი ქმედება და გამარჯვება უსურვა გმირ უკრაინელ ხალხს. მთელი ქადაგების განმავლობაში მას ერთხელაც არ უხსენებია რუსეთი. ამას, როგორც ფაქტს, საგანგებოდ გაუსვა ხაზი ინფორმაციის უცხოელმა ავტორმა.

რუსეთი არ უხსენებია, მაგრამ ქვეყანა არ დაქველდა, ყველა ისედაც მშვენიერად მიხვდა, ვინ იყო აგრესორი. ამ ფაქტმა იქნებ სინანული მოგვგვაროს რომის პაპზე უფრო კათოლიკე ჩვენს ოპოზიციას. (სხვათა შორის, მისმა უწმინდესობამ ფრანცისკემ სრულიად რუსეთის პატრიარქს კირილს მოუწოდა არ გახდეს „კრემლის საკურთხეველის ბიჭი“)...

თუმცა, რას ვამბობ, რა ამაო ოცნებას ვეძლევი?

– შეილო, ზურაბ, სადამდე?
– ვაიმე, დედი, ყალბადე!

ალეკო ასლანიშვილი





არსებობს თუ არა რეალურად „ღამეკვეთი“, რომელსაც საქართველოს ომში ჩაბმა უნდა და არის თუ არა ყველა სხვა უშედეგო ნაცადი ხერხის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი გველოდა მათთვის ბოლო კოდი?

ვამტყბა, რომ საქართველოზე ორკესტრირებული შეტევა მას შემდეგ დაიწყო, რაც 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთი შეიჭრა. ვილადა, ან ვილადაც ფარულად თუ ღიად, საქართველოს ომში ჩაბმისკენ უბიძგებენ, რაც სხვადასხვა ტაქტიკისა და სხვადასხვა მოთამაშების გამოყენებით მიმდინარეობს. ე.წ. სტრატეგიული მიზანი კი აქ არეულობის მოწყობა და ჩვენი ქვეყნის ომში რამენაირად ჩათრევაა. ჩნდება კითხვა – რა შუაშია აქ ივანიშვილი? – შუაშია კი არა, როგორც ჩანს, ამ დამკვეთისთვის თავშია, თანაც ყველაზე ბოლო კოდი, რომელზეც ზენოლის შედეგად, ფიქრობს ქვეყნის საომარ მოქმედებებში ჩართვას.

შედეგად ბიძინა ივანიშვილის მისამართით, რეალურად გვაფიქრებინებს, რომ ვიღაც დიდ მოთამაშეებს უფრო დიდი სურვილები აქვთ. ივანიშვილზე შედეგად შეფასება ის ფაქტი, რომ მოგაბრუნოთ სასამართლოს შემდეგ, შვიცარიული ბანკი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილისთვის მოკარული ფულის დაბრუნება დაევალება, ამ ტრანზაქციას უკვე ერთი თვეა ახორციელებს. საპარაულად, ვილადაც მისთვის უნდა, ბანკს იმედი აქვს, რომ ივანიშვილი, როგორც ე.წ. რუსი „ოლიგარქი“, დასავლეთის მიერ სანდქცირებულ მილიარდობებს შორის მიხვდება, სოლო ამ უშუალე მომდევნო ბიზნის არააინი იხდის.

ვილსოვოსი **ზაზა შათირიშვილი:** „სამწუხაროდ, არსებობს დამკვეთი ძალა, რომელსაც უნდა ჩვენ ქვეყანაში მეორე ფრონტის გახსნა და ამ ძალაში, ბუნებრივია, არ ვგულისხმობ საქართველოსა და უკრაინაში მოქმედ ძალებს. ამ „დამკვეთი ძალისთვის“ მეორე ფრონტი არის აუცილებელი, რათა მოხდეს კონფლიქტის გლობალიზება, რადგან, როგორც ჩანს, ვერ მოხდა რუსეთის იმ დონეზე საერთაშორისო იზოლირება, როგორც ჩაფიქრებული იყო. ამიტომ ამ „დამკვეთი ძალას“ ჭირდება მიძინებული კონფლიქტების გაღვივება და შესაბამისად, საქართველოს ჩართვა საომარ მოქმედებებში. ეს გარემოება აღნიშნულ „დამკვეთი ძალას“ მისცემს შესაძლებლობას, რუსეთი მაქსიმალურად წარმოაჩინოს გლობალურ საფრთხედ.“

საქართველოს ომში ჩართვის მსურველთა გარეგანმა ზენოლამ შედეგი ვერ გამოიღო, შესაბამისად ამ ძალების მოქმედებები კიდევ უფრო მკაფიო და აგრესიული გახდა.

დღეს უკვე საქართველოსა და უკრაინაში არსებული მეზუთე კოლონა მათი „დამკვეთის“ დავალებით ღიად და დაუფარავად აცხადებს, რომ ომი არის „ერთადერთი სწორი გზა“ ჩვენი ქვეყნისთვის. ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ „დამკვეთი ძალას“ სურს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემობრუნება და კონფლიქტში შემოყვანა, უკვე მისი ხელის სასურველი შედეგის მიღწევა... „დამკვეთი ძალას“ მიანია, რომ მთავარი ამ შემთხვევაში ფინანსური ზენოლაა. ჩემთვის

სააკაშვილის საქართველოში შემოპარვა არ გააბრუნა, ახლა კი მიზანს ივანიშვილზე „ზენოლით“ მივალნებით!



ამის დასტურია შვეიცარიული ბანკის მიერ, შვეიცარიის საბანკო სისტემის რეპუტაციისთვის უმძიმესი ზიანის მიყენების ხარჯზე, ბიძინა ივანიშვილისთვის მისი კუთვნილი თანხების გადარიცხვის შეფერხება.“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ შვეიცარიულ ბანკთან ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნებთან დაკავშირებით მედიასთან შეკითხვის საპასუხოდ კომენტარი გააკეთა.

„თუ აქვთ იმის ილუზია, რომ ბიძინა ივანიშვილი თანხის სანაცვლოდ, როგორც არ უნდა იყოს ეს თანხა, ვინმეს ქვეყანას გაანადგურებინებს, მათ არ სცნობიათ კარგად ბიძინა ივანიშვილი და მისი ხასიათი. რაც შეეხება ერთი თვის განმავლობაში გადარიცხვის შეფერხებას, როდესაც ასეთი გადაარიცხვას, სტანდარტულს, სჭირდება რამდენიმე საათი, როდესაც ასეთი რამ ხდება და როდესაც შვეიცარიული ბანკი მთელი საბანკო სისტემის რეპუტაციას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, იქ, რა თქმა უნდა, უფრო ღრმა ეჭვებში შეიძლება შეხვიდე. ამაზე საუბარი, სომ არ არის ეს შანტაჟი? მით უმეტეს, რომ თავად ბანკის განცხადებებში პოლიტიკური მისივე იყო გამოჩენა“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კონფლიქტოლოგი **მამუკა არეშიძე** for.ge-სთან ამბობს, რომ არაფრის გამო რიცხვა არ შეიძლება, ასევე ამ ამბის მიხედვით საქართველოს სვალენდელ დღეზეც შესაძლებელია. არეშიძე ამბობს, რომ მსოფლიოში ხდება ასეთი პრეცედენტები, როდესაც მსოფლიოში ძლიერი საფინანსო და ეკონომიკური სტრუქტურა წაგების

შემთხვევაში პოლიტიკურ სარჩულს იღებს, რათა თავი დაიძვინოს.

„არ არის გამორიცხული, რომ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები ამ ბანკზე გავიდნენ და მას გარანტია მისცეს, რომ თუ ეს ბანკი მათ პოლიტიკურ ბრძოლებს დააფინანსებს და მხარში დაუდგება, ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციას მიაღწიონ. მიუხედავად ამისა, უახლოეს მომავალში ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას გამოვრცხავ, მით უმეტეს უკრაინის ომის ფონზე. ახლა ვითარება იმდენად დაძაბულია, მგონია, ის დამატებით წნეხის და დარტყმის ქვეშ მოხვდება. ჩემი აზრით, მისი პოლიტიკაში დაბრუნება არ ღირს. სჯობს, ისევ იმ მდგომარეობაში იყოს, რაშიც არის“, – აცხადებს არეშიძე.

ხდება თუ არა რეალურად ივანიშვილზე რაიმე სახის ზენოლა, ან აქვს თუ არა გარკვეული ინფორმაცია, რომ მოხდება, არეშიძე თვლის, რომ ამაზე საჯაროდ საუბრის პრეროგატივა ივანიშვილს ეკუთვნის, თუმცა თუკი მსგავსი რამ არსებობს, ეს საზოგადოებისთვის მიწოდებული და ახსნილი უნდა იყოს.

„ეს იქნება სატელევიზიო ეთერი, სახალხო შეკრება თუ წერილის სახით გავრცელება, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. რაც შეეხება იმას ვისგან შესაძლოა ივანიშვილზე ზენოლა ხდებოდეს, ამ კითხვას უნდა ვუპასუხო ან სრულად ამომწურავად, რაზეც ინფორმაცია არა მაქვს, ან უნდა ვუპასუხო ზოგადად, ანალიზის სახით. ბარიკადის ორივე მხარეს არსებობენ ადამიანები, იქნება ეს რუსეთი თუ დასავლეთი, რომელთაც სხვადასხვა მიზნით ფრონტის გაშლა სურთ. განსაკუთრებით ეს აპრილის მეორე ნახევარში იგრძნობოდა, მიუხედავად უკრაინული მხარის წარმომადგენლების განცხადებისა, რომ ეს წინა შედარებით შემცირდა. ამის მიზეზი ისაა, რომ განსაკუთრებული ზენოლის ობიექტი მოლდოვა გახდა. მოლდოვა, რიგი მიზეზების გამო ამ ვითარებაში უფრო მობრუნებული და საჭიროა – ერთი ფრონტი იქნებოდა ნატოს საზღვრებამდე. რუსეთში ძალიან სერიოზულად იყენებ განწყობილი, რომ საქართველოში და მოლდოვაში ვითარება გამწვავდებინათ“, – ამბობს არეშიძე.

მისივე თქმით, როგორც ჩანს, რუსეთში პატრულის იდეამ, ვითარების გამწვავება საქართველოშიც მომხდარიყო, ფეხი ვერ მოიკიდა. თუმცა არეშიძე ამბობს, რომ დასავლეთშიც არიან ადამიანები,

რომლებსაც იგივეს გაკეთება უნდათ, მაგრამ მიზანი სხვაა. მათ რუსეთის, რაც შეიძლება ფართომასშტაბიან ომში ჩაბმა სურთ, რათა მისი დასუსტება დაჩქარდეს. ამის მიუხედავად, კონფლიქტოლოგს მიანია, რომ რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით, უკვე დასუსტებულია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში, დასავლეთში და რუსეთში მყოფი ძალები თავისას არ გააგრძელებენ.

„თავიდან ქართველ საზოგადოებაში ეგონათ, რომ ეს ამბავი უკრაინიდან მოდოდა და მათ სურდათ, აქ ახალი ფრონტის გახსნა მომხდარიყო. მე რეგანდა მოსაზრება, რომ ისინი ამას დასავლეთის ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებდნენ. პრინციპში, ამის დევნას აზრი არა აქვს. ამ საქმეში მე ვთვლი, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ უფრო მეტი როლი მივანიჭებ, ვიდრე ამის გამკეთებლები იყვნენ. საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციის საქმეში კონკრეტული წვლილი მიუძღვის, მაგრამ აქ ომის გაჩაღების მცდელობა, უფრო მაღალი დონის ნამუშევარს ჰგავს, უფრო სხვა ტიპის პოლიტიკურ ძალებს ვხედავ“, – ამბობს არეშიძე.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** კი მიიჩნევს, რომ საქართველოს მიმართ ინტერესი დიდია და არაა გამორიცხული, ვილადაც ბერკეტად ბიძინა ივანიშვილს განიხილავდნენ. მაისაია მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შემოპარვა და პირდაპირ პოლიციისთვის ჩაბარება შემთხვევითი ფაქტი არ ყოფილა. მისი აზრით, არაა გამორიცხული, რომ ამ ძალებისთვის სააკაშვილი პირველი კოზირი იყო, რომელმაც არ გაამართლა. ახლა კი ფიქრობენ, რომ ივანიშვილზე ზენოლით, შესაძლოა, მიზანს მიაღწიონ.

„საქართველოში გააკრებულ პოლიტიკური სპეტრის ფონზე, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკიდან გასულია, მთავარ მოთამაშედ რჩება. ამიტომაც, რიგი ძალების მიერ ის აღქმულია კვლავ, როგორც ბერკეტი, რომლის საშუალებითაც საზოგადოებაზე და ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოახდენენ. ამიტომ არაფერია გამორიცხული, რომ მისი ღიად პოლიტიკაში დაბრუნებაც სურდეთ. არც ის, რომ ამისთვის მასზე ზენოლის სახით შევიცარიის ბანკსაც იყენებდნენ. სააკაშვილი საქართველოში შემთხვევით არ შემოუპარებიათ. ეს ყველაფერი დროში ძალიან უცნაურად ემთხვევა. მისი „კოზირის“ გათამაშება უნდა იყოს, მაგრამ აქ ხალხის აზრის სწორად გათვლა ვერ შეძლეს. არ მოხდა ის, რისი იმედიც ჰქონდათ. ამიტომ ციხეში მონუნუნე სააკაშვილი უკვე პოლიტიკურად დასუსტებულია და ახალ სამიზნეს ეძებენ“, – აცხადებს მაისაია.

მისივე თქმით, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს აქვს გარკვეული შლეიფი, რომლითაც საზოგადოება მიიჩნევს, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ბრძოლას ახერხებს. ასევე მაისაია მიიჩნევს, რომ სალომე ზურაბიშვილის ფაქტორმაც დადად არ იმუშავა. რაღაც სკვლეპი გააკეთა, მაგრამ დიდი ვერაფერი. ამიტომაც ქვეყანაში ავტორიტეტული პოლიტიკოსის პრობლემა ისევ ღიად დგას და ვინ თუ არა ისევ ბიძინა ივანიშვილი.

ლიკა გერიკაშვილი

ღღას თბილისში ქართველი შინდღეაჩების შემოკიალი გაიხსნება

საპეციალურად ღონისძიებაზე დასასრებად თბილისს ეწვია ისრაელის დელეგაცია, ქნესეთის საქართველოს პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარის დავიდ ბიტანის ხელმძღვანელობით.

ქართველი შინდღეაჩების მემორიალი ვარკეთილში, სესილია თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე ახლადგაშენებულ პარკში „ისრაელის სახლის“ ინიციატივით განთავსდა. ორგანიზაციის ინიციატივითვე, პარკში, 30-მეტრიან კედელზე მოიხატა ანა ფრანკის სურათი. „ისრაელის სახლის“ ინიციატივა თბილისის საკრებულოს წევრის რევაზ სოსხაძის მხარდაჭერით განხორციელდა.

ღონისძიებას დაესწრებიან თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საქართველოს პარლამენტში ისრაელთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი გივი მიქანაძე, პარლამენტარები, ისრაელის საელჩოს წარმომადგენელი, ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელი იციკ მოშე, სტუმრები ისრაელიდან და ქართული საზოგადოების წარმომადგენლები.



მემორიალის გახსნის ცერემონიაზე გაიმართება „ისრაელის სახლის“ მიერ გამოცემული ბროშურის „ქართველი შინდღეაჩები“ პრეზენტაცია.

„ისრაელის სახლის“ მიმართვის საფუძველზე აღნიშნულ პარკს ქართველი შინდღეაჩების (სერგი მეტრეველი, მიხეილ კედი, გრიგოლ ფერაძე და სხვ.) სახელი მიენიჭება. 15 მაისს ისრაელი სტუმრები ახეტას ეწვევიან, სადაც ქალაქ რიშონ ლეციონთან დაძმობილების ხელშეკრულება გაფორმდება.

ნარკუფული კვლი სასუნაში



დიდი მასშტაბის ქართველი სახელმწიფო მოღვაწე

ბრინბ ადამიანები, რომელთა ცხოვრება სამაგალი-
თოდ რჩება მომავალი თაობებისთვის. მათ რიგს მიეკ-
უთვნება ოთარ ფაცაცია. მე წილად მხვდა ბედნიერება,
მას ახალგაზრდობაში გავეცნობოდი. ჩემთვის იგი იყო
უფროსი მეგობარი, ქვეყნისა და ქართველი ხალხის ინ-
ტერესებისთვის თავდადებული პიროვნება.

ბატონი ოთარის ნიჭიერება, ერთგულება და პა-
ტივისცემა ხალხისადმი ჩანდა მის ყოველდღიურ
საქმიანობაში. მისი მაღალზნეობრივი უნართვი-
სებები ნათლად წარმოჩინდა ენგურის ცელულო-
ზისა და ქალაქის კომბინატში მუშაობის პერი-
ოდში. სწორედ მისი ხელმძღვანელობით საწარმო
იქცა სანიმუშოდ მთელ საბჭოთა კავშირში.

კარგად მახსოვს, როგორ პატივისცემას გამო-
ხატავდნენ ბატონი ოთარის საქმიანობის მიმართ
საკავშირო მინისტრი და მთავრობის სხვა წევრე-
ბი. როგორი მონივნებით მიმართავდნენ მას და რო-
გორი სამთავრობო ჯილდოებით აღნიშნავდნენ კო-
ლექტივის და მისი ხელმძღვანელის საქმიანობას.

ამ შემთხვევას ვისხენებ იმიტომ, რომ მომავალმა
თაობამ გაათვითცნობიეროს, როგორ ფასდებო-
და შრომისადმი, ქვეყნისადმი და საქმისადმი მა-
ღალი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება. ას-
ეთ შეფასებას იგი იღებდა, როგორც მეოცე საუკ-
უნის ღირსეული ქართველი.

ბატონი ოთარის კონკრეტულ საქმიანობაზე და-
უსრულებლად შეიძლება საუბარი. წლების მანძილზე
იგი ზუგდიდის ჯერ რაიონის, შემდგომ სამრეწვე-
ლო ზონის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელი
იყო. მისი თაოსნობით მოხდა ანაკლიის, როგორც კუ-
რორტისა და დიდი საზღვაო პორტის განვითარე-
ბის პოტენციალის შესწავლა. ძნელბედობის უამს იყო
ზუგდიდის გამგებელი, ხოლო 1992-95 წლებში სა-
ქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. სწორედ აქ
გამოჩნდა მისი, როგორც დიდი ხელმძღვანელის მას-
შტაბური აზროვნება. ეროვნული სახელმწიფოებ-
რივი ინტერესების დაცვის უნარი. მან დიდი როლი
შეასრულა ქვეყნის ეკონომიკის აღდგენაში.

ქართველმა ხალხმა ღირსეულად შეაფასა ოთ-
არ ფაცაციას მოღვაწეობა. იგი დაჯილდოვდა ვახ-
ტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

სიმართლე გითხრათ, ძალიან მიჭირს ბატონი ოთ-
არის მოხსენიება წარსულ დროში, რადგან არ ყო-
ფილა არცერთი საეკლესიო თუ საერო დღესასწა-
ული, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის არ მიგველოცოს...

ძალიან დაგვაკლდა...

ბატონი ოთარ ფაცაციასწარმო პიროვნებებით
იქმნება თანამედროვე საქართველოს ისტორია და
ამიტომ მომავალმა თაობამ ღრმად უნდა შეისწავ-
ლოს მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ჯუგუაძე პატიუხვილი

ის დიდი კასი იყო!

ბულისტკივილით, თანაც დიდი და გულწრფელი
სიყვარულით ვიგონებთ საქართველოზე უსაზღვროდ
შეყვარებულ, დღენიადაგ მასზე მოფიქრალ, მისთვის
თავდადებულ და რეალური საქმით სამშობლოს შემამ-
კობელ, მის აღმავლობაზე დღენიადაგ მზრუნველ პი-
როვნებას – ოთარ ფაცაციას. ქვეყნის ვაჟი, ყმან-
ვილკაცობიდან ლიდერად აღიარებული, აღნაგ, მომ-
ხიბველი ბატონი ოთარი მუდამ ქვეყნისა და ხალხის
სამსახურში იყო.

მე სამოცი წლის წინ შევხვდი და იქიდან მოკი-
დებული მასთან კეთილი ურთიერთობა – მეგობ-
რობა არ შემიწყვეტია. მის სახელთან ბევრი სიკეთეა
დაკავშირებული. გასული საუკუნის სამოციან
წლებში იგი ზუგდიდის, სიდიდით და მნიშვნელო-
ბით ამ გამოჩენილი რეგიონის თავკაცი იყო, დი-
დი ამაგი დასლო ქალაქის მრეწველობის განვი-
თარებას ქვეყანაში. გამოირჩეოდა ადამიანებით
თბილი დამოკიდებულებით, ქველმოქმედებით. ურ-
თულეს დროს – გასული საუკუნის 90-იან წლებ-
ში მოუხდა საქართველოს მთავრობის თავმჯდო-
მარეობა. სწორედ ამ მძიმე პერიოდში გამოჩნდა
მისი გონიერება, მაღალი პროფესიონალიზმი. იგი,
გარდა უშუალო ფუნქციის შესრულებისა, დამფუძ-
ნებელი გახდა ქვეყანაში სასიკეთო პოლიტიკური
მოძრაობისა, ცდილობდა არსებულ ქაოსში პროგ-
რესული მიმართულების დამკვიდრებას.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ბატონი ოთ-
არის დიდი ყურადღება და დახმარება ზოგადად
განათლების სისტემისა და, კერძოდ, უმაღლესი
სკოლისადმი. იგი ხშირად ინტერესდებოდა საქარ-
თველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა

გამორჩეული მამულიშვილი

მიმდინარე წლის 15 მაისი, ან უკვე გარდაცვლილი,
ოთარ ფაცაციას დაბადების დღეა. უფალმა ნათელში ამ-
ყოფოს მისი სული. მქონდა პატივი ბატონი ოთარის სან-
გრძლივი მეგობარი ვყოფილიყავი და დარწმუნებული იმ-
აში, რომ ის იყო უიშვიტაფი პიროვნება, საზოგადო და
სახელმწიფო მოღვაწე, ღირსეულთა შორის გამოჩენილი
მამულიშვილი, ღვთისნიერი, უღალატო ადამიანი.

საზღვარგარეთ განათლებამიღებული ბატონი ოთ-
არის თანამდებობრივი ისტორია ენგურქალაქლკომ-
ბინატის პროფკავშირის თავმჯდომარედ არჩევით
ინყება და პრემიერ-მინისტრობით მთავრდება. მანამ-
დე სხვადასხვა თანამდებობაზე იყო და ბევრი სასი-
კეთო საქმე გააკეთა. ერთზე შევამჩრებ ყურადღებას.
ბატონი ოთარი თითქმის ოცდაათი წელიწადი სათა-
ვეში ედგა ენგურქალაქლკომბინატს და ანხორციელ-
ებდა ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ
მის გამართულ მუშაობას, რის შედეგადაც კომბინატმა
მტკიცედ დაიმკვიდრა ქვეყანაში მაღალი კულტურისა
და სახელის საწარმოს სახელი.

ბატონი ოთარი განსაკუთრებულ ყურადღებას
აქცევდა მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო
პირობების გაუმჯობესებას. მისი თავკაცობის
დროს აშენდა შესანიშნავი საავადმყოფო, დიანოს-
ტიკური ცენტრი, საშუალო სკოლა, საბავშვო ბა-
ლი, კულტურის სახლი და სხვ. მის დროს გაფარ-
თოვდა და გალამაზდა კომბინატის ტერიტორია და
ქალაქის სახე მიიღო. ამიტომ მას „ქალაქში ქალა-
ქის“ აღმშენებელს უწოდებდნენ.

ბატონი ოთარის თაოსნობით მოხერხდა ანაკ-
ლიის, როგორც რეკრეაციული ზონის და საზღვაო
პორტის რესურსული პოტენციალის შესწავლა-გა-
მოკვლევა რაც საფუძვლად დაედო
მისი შემდგომი განვითარების პერ-
სპექტივების განსაზღვრას.

და კიდევ, ბატონ ოთარს უდიდ-
ესი წვლილი მიუძღვოდა აფხაზეთი-
დან, 1993 წელს, დევნილთა სამშვი-
დობოზე გადაყვანაში. მაშინ ის სა-
ქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო
და მთელი 40 დღე მესტიის რაიონის
სოფელ ჭუბერიდან ხელმძღვანე-
ლობდა თოვლით დაფარულ, ურთუ-
ლესი გზით, დამშუულ და გათოშილ-
გაყინულ დევნილთა გადაყვანას ქუ-
თაისსა და ზუგდიდში. ამისთვის მან
უკრაინიდან შვეულმფრენების გა-
მოგზავნასაც მიადნია და ათასობით
ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბა-
ტონ ოთარს ჩვენი ქვეყნის ისტორიის
ურთულეს პერიოდში მოუწია პრე-
მიერ-მინისტრად მუშაობა, მაგრამ
სიძნელეთა დაძლევა და სახელმწი-
ფო მართველობის ნორმალურ კალა-
პოტში ჩაყენება შეძლო.

ბატონო ოთარ, შენ დაბადების დღეს აღვნიშ-
ნავთ და კიდევ ერთხელ უფალს შევთხოვთ, ნათელ-
ში ამყოფოს შენი უკვდავი სული.

გონდო ჯიქია

იხ. 6 გვ.



ოთარ ფაცაცია მუღლესთან ერთად

საბჭოს საქმიანობით და რეალურ დახმარებას უწ-
ევდა მას. განათლებისა და კულტურისადმი სამსა-
ხური იყო ოთარ ფაცაციას მუდმივ თვალსაწიერ-
ში. მახსოვს, მისი დიდი ცდილობა ზუგდიდისა და
რეგიონის ისტორიისა და ზოგადად მნიშვნელო-
ბის ამსახველი მონოგრაფიის შექმნისადმი. ის საქმე
წარმატებით დასრულდა. ბევრი სხვა კეთილი საქ-
მეც არის ბატონი ოთარ-
ის სახელთან დაკავშირე-
ბული. მისი მხარდაჭერა
აშკარა იყო ზუგდიდის
შოთა მესხიას სახელობის
უნივერსიტეტის %ადრე
თსუ-ს ფილიალის) და-
ფუძნებისადმი.

საქართველომ იცის თა-
ვისი შვილის ფასი. მაღა-
ლი ღირსების მქონე, სიკე-
თით სავსე, ქვეყნის
ქართველი პატრიოტის,
კოლორიტული პიროვნე-
ბის, ძვირფასი მეგობრის
ოთარ ფაცაციას სახელი
მარადიულად დამკვიდ-
რდება ქართველი ადამი-
ანების ცნობიერებაში.

როინ

მეტრეველი



ოთარ ფაცაციას ქალიშვილი და შვილიშვილი

ნარკუფული კვალნი სსუკუნაში

ჩემი მეგობარი – ოთარ ფაცაცია...

იზი დიდი ქართველი და დიდი კოლხი იყო მაშინაც, როდესაც ყველაზე რთულ ვითარებაში ქვეყნის პრემიერად მუშაობდა და მაშინაც, როდესაც ქართველი-ანი ცხოვრებისაგან დაღლილი, მშობლიურ კერას დაუბრუნდა... საქართველოზე ფიქრი კი არც ხანდაზმულობის ჟამს შეუწყვეტია, სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო და იმიტომ.

ახარებდა სხვების კარიერული წინსვლა. აკვირდებოდა თავის ხელქვეითებს და მათ კარიერულ მომავალსაც ხელს უწყობდა, თუმცა თავისი ღვაწლის შესახებ არასოდეს ლაპარაკობდა. არ მახსოვს ვინმეზე ცუდი ეთქვა, ან საჯაროდ განეკითხა მათი საქციელი. სათქმელს მათვე თუ ეტყოდა და ისეთნაირად, რომ გონიერ კაცს დააფიქრებდა და მადლობასაც ათქმევინებდა.

ადამიანების გვერდში დგომაც უხმაუროდ იცოდა, ისეთი... მის მიერ ხელგამართული კაციც კი, სხვებისაგან თუ გაიგებდა. მეგობრებში სინამდვილე და ერთგულებას აფასებდა, ამიტომაც მის გვერდით არავის უნახავს უღირსი და შერცხვენილი ადამიანი.

გმობდა ამპარტავნებს, ყოყოყნობას. არასოდეს უკადრებია თავისი ღირსებების წარმოჩენა, ამიტომაც პოულობდა საერთო ენას ყველასთან, ვინც მის თვალსაწიერში მოხვდებოდა.

სადღეგრძელოშიც კი არ მიტყვამს მისთვის საქებარი სიტყვები, იუბერსულედა და იმიტომ.

იუმორის დამფასებელი და თავადაც რაფინირებული იუმორის მთქმელი, პატივს ცემდა სუფთად და გემოვნებით ჩაცმულ ადამიანებს... თავადაც ყოველთვის მოწესრიგებული, უზადოდ ჩაცმული იყო და ეს თვისება ბოლომდე შეინარჩუნა. დიდ კაცად, დიდ ქართველად და დიდ კოლხად დარჩენა ჩემს მესსიერებაში ოთარ ფაცაცია, სახელმწიფო მოღვაწე და უზადოდ მეგობარი.

15 მაისი მისი და ჩემი დაბადების დღეა და ხშირად ერთად აღვნიშნავდით! ახლა კი?!

ნაპოლეონ ძარქაშაძე

პრის კასი, მარადისობის ბინადარი

იშვინათად, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით, ცხოვრების წესით, მაღალი ზნეობრიობით ძალიან მკვეთრად ამჩნევენ კვალს ქვეყანას.

ეს რჩეულთა ხვედრია! ასეთი იყო და ასეთად დარჩება ოთარ ფაცაცია სახელი ქართველი ხალხისა და ქვეყნის მესსიერებაში. მას მარად მოიგონებენ, როგორც დიდ ქართველს, რომელმაც თავისი მაღალი ავტორიტეტით, ძნელბედობის ჟამს თავისი მხარე მოერიგ აოხრებას გადაარჩინა, სამოქალაქო ომის შემდგომი ესკალაცია ქვეყანას ააცილა.

მე ბატონო ოთარმა დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებდა, რაც მერე მეგობრობაში გადაიზარდა. მასთან არაერთი დაუვიწყარი შეხვედრის გახსენება შეიძლება. სტუმრებთანაც და მასპინძლის რანგშიც, ყველგან ის იყო წარმოდგენილი, როგორც ზნეობილი და კეთილშობილეთი სახე პიროვნება. მასში არ იყო საკუთარი და საზოგადოებრივი განცალკავებული, როგორც ეს განსაკუთრებით მაღალჩინოსნებში ხდება. იგი ცხოვრებისა და მრავალწახანაგოვანი კარიერის ყველა საფეხურზე საქმის, საზოგადოებრივი ინტერესის თანაბრად ერთგული იყო. საქმეს მიიჩნევდა პრიორიტეტად და ყოველგვარი პირადული გადაჭქონდა უკანა პლანზე. ამიტომაც ყოველთვის გაკეთებული საქმეებით ჩანდა. ამითაც იყო ბატონი ოთარის ფენომენი სამაგალითო და გამორჩეული.

მისი სიდიადე არასდროს არ იყო დამოკიდებული კარიერულ საფეხურებზე და არც არასდროს ილტვოდა მაღალი თანამდებობისკენ. მაშინაც, როცა ქვეყნის ძნელბედობის ჟამს შესთავაზეს ხელისუფლებაში უმაღლესი თანამდებობა – ქვეყნის პრემიერ-მინისტრობა, კატეგორიულ უარზე იყო. მაგრამ მერე და თანხმდა და ეს ქვეყნისა და ხალხისადმი მის მაღალ პასუხისმგებლობას უკავშირდება. ყველას გაგვიკვირდა, თუ რატომ დათანხმდა და რატომ დადგა იმ ძალეების გვერდით, რომლებმაც დაამსგეს კანონიერი ხელი-სუფლება: «ეს მეც მზარავდა, მაგრამ ვხედავდი თუ რა ხდებოდა ქვეყანაში, როგორ თარეშობდნენ კრიმინალები,



ედუარდ შევარდნაძე აკილდროებს ოთარ ფაცაციას ვახტანგ ბორგასლის ორდენით

რას ჩადიოდნენ ისინი სამეგრელოში და სხვაგან. ვინ შეაჩერებდა და ვინ წარუდგებოდა მათ მორიგ ვეზუკუსიას, ამან მაიძულა დავთანხმებოდი შემოთავაზებას», – მისი ეს გადაწყვეტილება მეგობრებს ასე გაგვანდო. მან პირნათლად შეასრულა ეს მისია და მარადისობაში დარჩა.

ნაპოლეონ მისხია

ღროსთან ბრძოლაში წარმატებული...

ოთარ ფაცაციამ მრავალფეროვანი ცხოვრების წესითა და პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის საკუთარი ხელწერით ახალი ფურცელი შემატა საქართველოს უახლოესი შერიოდის ისტორიას.

ბატონმა ოთარმა თანამედროვე პირობებში ქეშმარიტი მამულიშვილის მონუმენტური სახე შექმნა, ერთგულად, ფაქიზად, შემართებითა და პასუხისმგებლობით ემსახურა ქვეყანას. ორი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ პოლიტიკურ ეპოქაში იცხოვრა და შეძლო ჩვენს ცნობიერებასა და მოქმედებებში ქვეყნის ახლო წარსულსა და დღევანდლობას შორის განწყვეტილი კავშირების აღდგენა. იგი ნიშანსევეტად წარმოჩინდა, როგორც გამაერთიანებელი სიმბოლო. ეს ერთეულთა ხვედრია. ეს მაგალითია საზოგადოებისთვის.

ოთარ ფაცაცია აღმშენებელი ქართველი მოღვაწეა. ამას ადასტურებს თუნდაც ენგურქალაქკომბინატის – იმდროინდელი ეკონომიკური სისტემის საწინამუშო მოდელის წარმატებული საქმიანობა, ანაკლიის რეკრეაციული რესურსების და უნიკალური საზღვაო პორტის პოტენციალის შესწავლა-გამოკვლევებში მისი განმსაზღვრელი როლი, ძნელბედობის ჟამს საქართველოს მთავრობის მეთაურის პოსტზე გამოვლენილი მასშტაბური აზროვნება, მოვლენებში სწრაფად და შეუცდომლად გარკვევის განგებებისგან ბოძებული უნარი, ტოლერანტობის მომადლებული ნიჭი.

აღმშენებლობის დადასტურება ქართული ფენომენის ქვეყნის გარეთ პოპულარიზაციის %ადიარების) საქმეში ბატონი ოთარისეული ხელწერა – ყველგან და ყოველთვის დაიცვა ერის ღირსება, იყო მისი თვითმყოფადობისა და კულტურის დესპანი. სწორედ, რომ ასეთ კაცზე იტყვიან: იმაზე დიდი მეცნიერება არ არსებობსო, ვიდრე სახელი გაუთქვაო საკუთარ მამულს.

ოთარ ფაცაცია დროის გამონკვევებს, როგორც პიროვნებამ, მოღვაწემ, ღირსეულად უპასუხა და ქვეყნის წარსულის, დღევანდლობის და მომავლის გამამთლიანებელ მამულიშვილად ჩამოყალიბდა. სწორედ ეს არის ოთარ ფაცაციას ფენომენის ეროვნული თავისებურება. მისი მეგობრები ვამაყობთ, რომ ოთარ ფაცაციას თანამედროვენი ვიყავით.

ნოდარ ჭითანავა

აპაყად ღბას, როგორც მუხა ფესქებებარ...

ოთარ ფაცაციამ წარუშლელი კვალი დატოვა ადამიანთა მესსიერებაში. ის სრულიად ახალგაზრდა ჩაუდგა სათავეში ამიერკავკასიაში ალიარებულ ზუგდიდის ქალაქის კომბინატს, რომელსაც ოთხი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა წარმოების დიდი ორგანიზატორი, ალიარებული პროფესიონალი ბესარიონ ჟანაშია. მის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება დიდ ნიჭს, უნარსა და ენერჯიას მოითხოვდა. ბატონმა ოთარმა მიიღო ახალი გამონკვევა და დიდ წარმატებებს მიაღწია.

სანარმო, სადაც მრავალი ეროვნების ადამიანი მუშაობდა, კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი გახდა. ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, წარმატებით გადაწყდა სოციალური საკითხებიც. უფასო საცხოვრებელი ბინები, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კლინიკა, 150-ადგილიანი ცენტრალური საავადმყოფო. უმაღლესი კატეგორიის სპორტული ნაგებობები ამშვენებდა სანარმოს ტერიტორიას. სწორედ ამიტომ, ცნობილმა პუბლიცისტმა შალვა შენგელმა მას მიუძღვნა ნარკვევი „ქალაქი ქალაქში“.

1960-იან წლებში პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე აკაკი ქვარცხავა. იგი გამორჩეოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდის უნიკალური ნიჭით. მისი რეკომენდაციით რაიკომის მეორე მდივნად არჩეული იქნა ახალგაზრდა ოთარ ფაცაცია. იმ პერიოდში დაიწყო ენგურჰესის მშენებლობა. მისი მთავარი სამმართველო ქ. ზუგდიდში განთავსდა. შემდგომ ბატონმა ოთარმა, როგორც ზუგდიდის სამრეწველო ზონის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ენგურის შიდროელექტრისადგურის მშენებლობაში.

ბატონი ოთარი ახალგაზრდების გამორჩეული მეგობარი იყო და მათი დიდი ნდობით სარგებლობდა. უმცროსი თაობა მისგან ვიღებდით სანამუშო მაგალითს, თუ როგორ უნდა გვემსახურა ხალხისთვის, ქვეყნისთვის.

ბატონი ოთარ ფაცაცია, ისტორიული კოლხეთის მინაზე დაბადებული, ამაყად დგას, როგორც მუხა ფესქებებარია. რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერდება ოთარ ფაცაციას მიმართ მაღლიერების გრძნობა.

გურამ გუნავა

უკეთილშობილესი პიროვნება

ახლოვლები მაკლდეზიან... გული მწყდება, როდესაც მათზე წარსულში მიწვევს ლაპარაკი... ზეციურ საქართველოს შეუერთდა ჩემი კიდევ ერთი მეგობარი, უკეთილშობილესი პიროვნება, გულანთებული მამულიშვილი, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ოთარ ფაცაცია, რომელთანაც 45 წლის მეგობრობა მაკავშირებდა.

ოთარს 1975 წელს შეეხვდი, თუმცა უფრო ადრეც ვიცნობდი შორიდან. მაშინ ლენინგრადის ცელულოზისა და ქალაქის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა და ზუგდიდში არდადეგებზე ჩამოდებოდა. მესსიერებას შემორჩა ყოველთვის მოწესრიგებული, თავაზიანი ახალგაზრდა, შორიდან რომ გვგულშემატკივრობდა კომბინატის დასახლების კულტურის სახლის ეზოში მოთამაშე ახალგაზრდებს და მისკენ დავარდნილ ბურთს უკან გამოგვიგორებდა ხოლმე ისეთი კეთილგანწყობით, რომ არ შეგვეძლო, არ მიგვექცია მისთვის ყურადღება.

ეს თვისება, სადაც და უნაგაროდ გამოეწოდა ხელი ადამიანებისთვის, ოთარს ყოველთვის ახასიათებდა. მთელი თავისი სიცოცხლე აქტიური და სისხლსავსე ცხოვრებით გალია ხალხის სამსახურში. იყო საქართველოს მე-3 და მე-4 მოწვევების პარლამენტის წევრი, ზუგდიდის რაიონის გამგებელი ყველაზე რთულ დროს – საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების პიკში, როდესაც ბრძოლა უწევდა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სამეგრელოს მოსახლეობის სიცოცხლის გადასარჩენად. 1993 წლის აგვისტოში კი ყველა შვებით შეხვდა მის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას, რადგან დასუსტებულ ქვეყანას ეკონომიკური აღორძინებისთვის სწორედ ოთარისნაირი ძლიერი და გამოცდილი პიროვნება ესაჭიროებოდა. მაგრამ ვფიქრობ, მისი ცხოვრების ერთ-ერთ უმ-



ოთარ ფაცაცია შვილიშვილ სოფიკოსთან ერთად



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უფინდესთან და უნეტარესთან ილია II-სთან ერთად ქ. ქობულატი.

ნიშნულს ეპიზოდს წარმოადგენს ენგურის ცე-
ლულოზა-ქალაქის კომბინატის დირექტორობის პე-
რიოდი. ამ პოსტზე ყოფნის 30 წლის მანძილზე განე-
ული ღვაწლი. მას ერისა და ქვეყნის მოამბაგეთა რი-
გებში აყენებს. ოთარი მონადირე კაცი იყო და ფეხით
ჰქონდა შემოვლილი სვანეთის ტყეები. კარგად ხედავ-
და, რომ ამ რეგიონიდან მის კომბინატში ქალაქის
მასალად შემოტანილი ხე-ტყე რამდენიმე წელში გა-
ჩანაგების წინაშე დააყენებდა მთლიან მწვანე საფარს.
ამიტომ მან მოამზადა ეკონომიკური და ტექნიკური
დასაბუთება იმისა, რომ აუცილებელი და სრულიად
შესაძლებელი იყო რუსეთიდან შემოსული ნედლეულ-
ით ჩანაცვლებულიყო ადგილობრივი ხე-ტყე და ამ წი-
ნადადების სისრულეში მოსაყვანად სამთავრობო
უნყებებს მოსვენება დაუკარგა, მომავალ თაობებს კი
ფასდაუდებელი საქმე გაუკეთა.

ჩვენი უღალატო მეგობრობა წლებმა გამოსცადეს.
ამ გამოსათხოვარი სიტყვებით მიწადა, სიყვარული და-
ვუბრუნო ოთარს ყველა სიკეთის გამო, რაც ჩვენს დიდ
მეგობრობას მოჰყოლია!

ვაჟა თორდია

კასობით მალა მდგომი

აღმამიანის ცხოვრებაში ყველაზე დიდი სტატუსი მი-
სი ამალაგებული კაცობაა! დიდი კაცი იყო ოთარ ფაცაცია
— უპირატესად პიროვნული სიდიდითა და თვისებებით, უბ-
რალოებით, სიკეთით, წრფელი გულითა და გვერდში დგო-
მის დაუცხრომელი წადილით. ყოველივე ეს ედო საფუძ-
ვლად მის მალა საზოგადოებრივ მდგომარეობას.

ბატონი ოთარის გახსენება აღმატებულ ენერგი-
ას გვმატებს — ცხოვრებისეულს, პრაქტიკულს, გულ-
წრფელს... ვგრძნობთ, რომ უფრო ღრმად ვიხედებით
ჩვენს წარსულსა და აწმყოში, მისი გავლენით თით-
ქოს უკეთესი ვხდებით, როგორც კაცი, უფრო ვძლი-
ერდებით მოზღვავებული ადამიანური გრძნობებით,
მოყვანისადმი სიყვარულით ვივსებით, ადამიანების-
ადმი მეტი პატივისცემითა და თანაგრძნობით ვიმუხ-
ტებით.

ოთარ ფაცაცია წარუშლელი კვალი დატოვა დრო-
ში, როგორც ქვეყნის დირექტორმა ჩვენმა თანა-
მემამულემ. იგი იყო დაუცხრომელი, ქვეყნის მთლი-
ვანე, აკარგისი, საქართველოს გულმხურვალე ქო-
მაგი და ჭირისუფალი, რაც ფართო საზოგადოებამ
ღირსეულად შეაფასა.

ცნობილია, რომ ადამიანი თავის პიროვნებას მხო-
ლოდ სხვებთან ურთიერთობაში ავლენს — სხვების გა-
რეშე კაცი არც თვითონ იქნებოდა ისეთი, როგორც
სინამდვილეშია, რადგან ის რასაც აკეთებს, მხოლოდ
ადამიანებთან ურთიერთობაში ენიჭება აზრი და მნიშ-
ვნელობა. ალბათ ამიტომაც არის, რომ ადამიანს გა-
მორჩევი თვისი თანამედროვე უყვარს, მხოლოდ
„თავისდროინდელთან“ შეუძლია უშუალო ურთიერ-
ობა და შესაბამისი ეპოქის გათავისება. ადამიანთა
ურთიერთობის ნებისმიერი გამოვლინება, თავისთა-
ვად, თვით კონკრეტული ინდივიდის ალზრდის პრო-
ცესიცაა, რადგან ჩვენ ყველანი ერთმანეთისგან ვსწავ-
ლობთ მეტ-ნაკლებად. მე მაქვს საფუძველი სიამაყით
ვთქვა, რომ ბატონი ოთარისაგან ბევრი დარიგებაც
მიმიღია, ცხოვრების სტილისთვის მიმიბაძავს. ჩემთვის
იგი მამულიშვილის სანიმუშო მაგალითი იყო. ყოვე-
ლივე ამისთვის მადლობა მას.

რაულ ჯახია

ბერძენი, უფრეი კასი

ჩემთვის ყოველთვის მაგალითი იყო ოთარ ფაცაცია
— ბერძენი და უფრეი კაცის შრომისმოყვარეობა, ადამი-
ანებთან ურთიერთობის უნიკალური უნარი, ტოლერანტო-
ბის ნიჭი. ვცდილობდი მიმეზაძა მისთვის. იგი დიდი და-
რიგებელი იყო.

მრავალწლიანი მამულიშვილი მოღვაწეობის პე-
რიოდში მრავალი ტანჯვა და წინააღმდეგობები გა-
დაიტანა, ბევრჯერ გაიმეტეს სასიკვდილოდ. მან ძნელ-
ბედობის ჟამს პირადი ღირსება-თვისებებით საფ-
რთხეები ააცილა ადამიანებს, რეგიონს. ბატონი ოთ-
არი, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, უშუალოდ
ხელმძღვანელობდა აფხაზეთიდან დევნილთა გადმოს-
ვლის პროცესს. მან თითქმის შეუძლებელი გააკეთა.
იგი ურყევი რწმენით ჭირისუფლობდა ქვეყანას. ეკ-
ონომიკის სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნების-
თვის შეძლო სახელმწიფო მართვის საციცოცხლო არ-
ტერიების ამოქმედება.

ბატონი ოთარი, როგორც პატრიოტი და ქვეყ-
ნის მამულიშვილი დღენიადაც ემსახურებოდა ტე-
რორული მთლიანობის აღდგენას და მასზე და-
მოკიდებულს ყველაფერს აკეთებდა ქართულ-აფხა-
ზური ურთიერთობების აღდგენისთვის. იყო ვახტანგ
გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი,
ყველაზე დიდი ჯილდო კი მისადმი ხალხის სიყვარუ-
ლი და პატივისცემაა.

იგი დიდი მოღვაწე იყო... ასეთად დარჩება!

დეპურ გადელია

ნერის პრეტული

ჩემი საზოგადოება კარგად იცნობს ბატონ ოთარ ფა-
ცაციას მრავალმხრივ მოღვაწეობას, რომელიც „ენგურა-
ლაღდკომბინატის“ რიგითი ინჟინერ-ეკონომისტის მოკ-
რძალეული საქმიანობით დაიწყო და ქვეყნის პრემიერ-მი-



ოთარ ფაცაცია უახლოეს მეგობარ თიმურაზ ქარჩავასთან ერთად

ნისტრის მალა თანამდებობით დაგვირგინდა, რასაც ის
სხვადასხვა დროს უთავსებდა როგორც ყოფილი საბჭო-
თა კავშირის, ისე დამოუკიდებელი საქართველოს საკანონ-
მდებლო ორგანოების წევრობასაც.

სადაც არ უნდა ემოღვაწა ბატონ ოთარს,
მას მუდამ თან სდევდა განსაკუთრებული მოკ-
რძალეობა და სიყვარული ადგილის დედისა და
მამაპაპეული ნერისადმი, სამეგრელოს ერთი
პატარა სოფლისადმი, რომელსაც ინგირი ჰქ-
ვია, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც
ეზიარა პილა ბაბუას ცხოვრებისეულ სიბ-
რძნეს, პირველად შეალო სკოლის კარები და
საიდანაძე დაადგა მომავალი ცხოვრების ჯერ-
კიდევ შეუცნობელ გზას. ამ გრძნობას ის ხაზ-
გასმულად არასოდეს გამოხატავდა, მაგრამ ავ-
ლენდა საქმით — მან, ფაცაციებისა და ქარჩა-
ვების დიდი ოჯახის ერთადერთმა მემკვიდრემ,
ბოლომდე უერთგულა მშობლიურ კერას,
ცოცხლად შეინახა და კიდევ უფრო გააღვი-
ვა წინაპართა ფუძის ნაღვერდალი, აქვე შექ-
მნა ოჯახი და დააფრთიანა შვილები, აქვე გა-
დაიტანა უახლოეს ადამიანებთან განშორების
ტკივილი, იმავე კარნიდამოში მასპინძლობდა
მეგობრებსა და ყველაზე სასურველ სტუმრებს
და, სიმართლე რომ ითქვას, სწორედ ამ გარე-
მოში იყო ის შეუდარებლად ლალი, ბუნებრივი
და ბედნიერი.

ამავე დროს ბატონი ოთარი ბრძანდებოდა
შესანიშნავი მეზობელი — ჭირში თანამდგო-
მი და ლხინში თანამოზიარე, ყურადღებიანი
თანაკლასელი, ახალი თაობის კეთილი დამრი-
გებელი...

მის კავიაცობას ინგირელებიც შესაფერი-
სი პატივისცემით უპასუხებდნენ, მუდამ გულ-
შემატკივრობდნენ არც თუ იოლ საქმეებს
შებენულ თანასოფელს, საცხებით საფუძ-
ვლიანად ყოველთვის ამყობდნენ მისი, უკ-
ანასკნელ გზაზეც, მთელ საქართველოსთან
ერთად, ალალი გულისტკივილით გააცილ-
ეს იმ ქვეყნისკენ მიმავალ გზაზე და სათუთად

მიიბარეს მათივე ხელით გამზადებულ სამუდამო
განსასვენებელს.

ამავე დროს, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ბატონ
ოთარისთვის, როგორც ყველა ნორმალური ადამიან-
ისთვის, სამშობლოს განცდა დაბადების ადგილიდან
კი დაიწყო, მაგრამ იქვე არ დამთავრებულა, გარკვე-
ულწილად ნერჩიდან გამოყოფილმა საგზალმაც გა-
ნაპირობა მისი სახელმწიფოებრივი და საზოგადო-
ებრივი მოღვაწეობის საერთო ეროვნული მასშტაბები.

ცხადია, რომ ბატონი ოთარის ხსოვნა უკვე მრს აბ-
არია... და მაინც თავისი პენის მატარებელია მისი მო-
საგონარი ინგირში თქმული.

ბონელი არახამია

მიმიხს საუბარი მამაზე

დიდების მიუხედავად, მამა ყოველთვის მამაა. მშობლის
სიკვდილი იშვიათად არის მოსალოდნელი და არასოდეს
მიიღება. მამის სიყვარული შვილის გულში სამუდამოდ არ-
ის ჩადებული და აგრძელებს ასე ცხოვრებას. მის დამსახ-
რებებზე საუბარი ალბათ გამიჭირდება, ეს სხვისთვის მი-
მინდება. მიუხედავად ცხოვრების მიმე ქართველებისა,
იგი ყოველთვის იყო განზანაზრებული, მშვიდი, მზრუნ-
ველი და მაგალითის მიმცემი შვილებთან და შვილიშვი-
ლებთან ურთიერთობაში.

გარდაცვალების შემდეგ, უფრო გავანალიზე, თუ
როგორ სინამდვილეს წარმოადგენდა მისთვის ოჯახი.
კომუნიკაბელურობის საოცარი ნიჭი გააჩნდა, მეტო-
რული და დამრიგებლური მიდგომაც საკმაოდ მოქ-
ნილად გამოსდიოდა. ყველანაირად ცდილობდა ჩვენში
გაეღვივებინა მოყვანის სიყვარული და გაჭირვებულ-
თა შემწეობა. ძალიან ხშირად გვეუბნებოდა — „არავინ
იცის, ვის რა ცხოვრება ელოდება წინ და ამიტომ ყო-
ველთვის მოინდომეთ ეცადეთ ადამიანებს დაეხმაროთ
ისე, როგორც შეგეძლება“.

თამამად შემიძლია, განვაცხადო, რომ იყო თავი-
სი ქვეყნის გულანთებული შვილი და პატრიოტი. ქვეყ-
ნის აღმშენებლობა მისთვის გახლდათ უპირველესი.
ძალიან განიცდიდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგი-
ონის დაკარგვას. ხშირად იტყოდა, მე კი ვერ მოვეს-
წრები გაერთიანებულ საქართველოს, მაგრამ მომა-
ვალმა თაობამ აუცილებლად უნდა იცხოვროს გამ-
თლიანებულ ქვეყანაში. მას უზომოდ უყვარდა თა-
ვისი კუთხე და ყოველთვის ცდილობდა ეს სიყვარუ-
ლი ჩვენშიც გადმოსულიყო. ხანგრძლივი ცხოვრების
მანძილზე, ბევრჯერ ჰქონდა პერსპექტიული შემოთა-
ვაზებები სამსახურის კუთხით, თუმცა ვერ უღალატა
თავის მხარეს და სიცოცხლის ბოლომდე დარჩა იქ
საცხოვრებლად, ბოლომდე უერთგულა. ვერ გადმოგ-
ცემთ იმ ეპითეტებს და ემოციებს, თუ როგორი სიყ-
ვარულით საუბრობდა იგი თავის საყვარელ ქალაქ-
ზუგდიდზე, იქ მცხოვრებ, მეგობრებსა და ზოგადად
რეგიონზე. სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა მონა-
წილობა მიეღო ზუგდიდის აღმშენებლობაში.

ის გახსნაკუთრებული ურთიერთობა, რაც მე, ნიკას
და სოფოს მამასთან გავგაჩნდა, დღესაც დიდ ბიძგს
გვაძლევს ცხოვრების სწორი გზით გასაგრძელებლად.
ეს არის დიდი მოგონებების ჯაჭვიდან ის მცირედი,
რითაც ამჯერად შემოვიფარგლები.

ვეცდებით, ვიცხოვროთ ისე, როგორც მამის დიდ
სახელს შეეფერება.

რუსიკო ფაცაცია



საქმიანი შეხვედრა ენბურ-ქალაქ-ქობინატში.



უპირველეს ყოვლისა, რუსეთს, თურქეთსა და აზერბაიჯანს მოიაზრებენ, რომელთაც სომხეთის მიმართ ერთმანეთისგან განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ. რუსებს არასოდეს არ მოსწონდათ ნიკოლ ფაშინიანი, და ახლაც ეჭვის თვლით უყურებენ, რადგან პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსად მიიჩნევენ. სწორედ ამით იყო გამოწვეული თავის დროზე რუსეთის მიერ ადგილობრივი ოპოზიციური ძალების გამოყენებით, მისი თავიდან მოშორების მცდელობა, თუმცა, მასინ ამდენი ველად მოხერხდა, რადგან ფაშინიანს სომხები ხალხის უმრავლესობა უჭერდა მხარს. აზერბაიჯანსა და, მასთან ერთად თურქეთს, ამ ჭიდილში, დასუსტებული სომხეთის ნახვა სწყურიათ ყველაზე მეტად, რომ ერევანი როგორმე კიდევ უფრო მეტ დათმობაზე წაიყვანონ...

ვარდის უნივერსიტეტში დღემდე სამაგალითო პოლიტიკურ ნაწარმოებად ითვლება. 1991 წელს, კირიაკოსმა, ლონდონში, Chase Investment Bank-ში ანალიტიკოსად დაიწყო მუშაობა. მოგვიანებით, ექვსთვიანი შევსება აიღო და ქვეყნის სამხედრო ძალებში დაიწყო სამსახური. ამის შემდეგ, სტენფორდისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების მაგისტრის წოდება მოიპოვა და ლონდონში McKinsey-ის კომპანიაში იმუშავა ექსპერტის რანგში. 1998 წელს, საბერძნეთში დაბრუნდა და კარიერა ისევ საბანკო სექტორში განაგრძო. მამამისის პარტიის, ახალი დემოკრატიის წევრი გახდა, თუმცა, პოლიტიკური აქტიურობით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა. ერთი წლის შემდეგ, კირიაკოსი საბერძნეთის ეროვნული ბანკის ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსად დაინშინა. იყო ეროვნული ბანკის მმართველი, და ერთ არაკომერციულ ფონდსაც მართავდა, რომელიც მამამისის არქივების შესწავლით იყო დაკავებული. 2003 წელს, მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა კირიაკოსს მიცოტაკისი ხვალისდელი დღის გლობალური ლიდერების სიაში შეიყვანა, რამაც ახალგაზრდა კაცს ბიძგი მისცა, რომ თავისი მომავალი მშობლიური ქვეყნის პოლიტიკისთვის დაეთმო. ის საბერძნეთის პარლამენტში აირჩიეს და გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. 2012 წელს, მისმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნები მოიგო. პარტიის ლიდერი, ანტონის სამარასის საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი გახდა. კირიაკოსს მიცოტაკისმა მისი კაბინეტში ადმინისტრაციული რეფორმებისა და ელექტრონული მმართველობის მინისტრის პოსტი დაიკავა. 2015 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მმართველი პარტია კატასტროფულად დამარცხდა, რამაც შიდა პარტიული კრიზისი გამოიწვია. გადადგა პარტიის ყველა ლიდერი. ყრილობამ, კირიაკოსს მიცოტაკისის მეთაურობით, პარტიის ახალი ხელმძღვანელობა აირჩია, რომელიც სულ მალე მთავარ ოპოზიციურ ძალად იქცა ქვეყანაში. კირიაკოსს მიცოტაკისმა უმაღლესი პატივსაცემი პატივისცემა. რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში კირიაკოსს მიცოტაკისის პარტიამ და მისმა ლიდერმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს. 2019 წლის 8 ივლისს, საინაუგურაციო ცერემონიაზე, კირიაკოსს მიცოტაკისმა ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის წინაშე ფიცი დადო და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი გახდა.

რამდენიმე დღეში, ერთი პოლიტიკური სკანდალი აგორდა: კირიაკოსს მიცოტაკისმა მინისტრთა კაბინეტში ძველი ულტრა-მემარჯვენე და ახლა მმართველი პარტიის წევრი მაკის ვორიდისი მიიწვია, რომლის მინისტრად დანიშნვა საბერძნეთში ბევრმა გააპროტესტა. ყველაზე დიდი უკმაყოფილება ებრძოდა სათესტომომ გამოთქვა, რადგან ვორიდისი ანტიემიგრაციული იყო შემხნეული. ახალი პრემიერი ვორიდისის კრიტიკოსებს შეპირდა, რომ პირადად გააკონტროლებდა მას და ამით დააშოშინა ვითარება. მიცოტაკისი პრემიერობის პირველი დღიდანვე შეუდგა საბერძნეთის საგარეო ფინანსური პოლიტიკის გამოსწორებას. მან შეამცირა საიპოთეკო კრედიტის პროცენტი და გაზარდა მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების დაფინანსება, შექმნა დამატებითი სამუშაო ადგილები. მისი თაოსნობით, გამკაცრდა უკანონო მშენებლობებისა და ბინების მიტაცების დასჯა. ეს კანონდარღვევა მთელს საბერძნეთს იყო მოდებული. მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ანარქისტები და სხვა მემარცხენე რადიკალური ჯგუფები უკანონოდ იკავებდნენ ხოლმე შენობებს. მიცოტაკისის მთავრობამ, კოვიდ-19-ის პანდემიასთან წარმატებულად გამკლავებისთვის, ევროკავშირის ქება დაიმსახურა. საგარეო პოლიტიკაში, მიცოტაკისი მთლიანად იზიარებს თავისი პარტიის კონსერვატულ იდეებს. ის ნატოსა და ევროკავშირის გაძლიერების მომხრეა, მაგრამ კატეგორიულ უარზეა ევროკავშირში თურქეთის მიღებაზე მანამ, სანამ თურქეთს ჩრდილოეთ კვიპროსი ექნება ანექსირებული.

მიცოტაკისის თაოსნობით, საბერძნეთმა და საფრანგეთმა გააძლიერეს თავდაცვითი და უსაფრთხოების ერთობლივი ძალების შექმნა. საფრანგეთი, ამიერიდან, საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხში საბერძნეთის გვერდით დადგება. ასევე, საფრანგეთი საბერძნეთს ყველაზე თანამედროვე სამხედრო თვითმფრინავებს და გემებს მიანვდის. 2022 წლის 30 იანვარს, ოპოზიციამ მოითხოვა კენჭისყრაზე დამდგარიყო მიცოტაკისის და მისი კაბინეტის გადაყენება. ოპოზიციამ პრემიერ-მინისტრსა და მის კაბინეტს ციკლონით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად უმოქმედობაში სდებდა ბრალს. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის იანვარში, საბერძნეთს დიდთოვლიანობა და უამინდობა დაატყდა, რამაც ქვეყანაში სატრანსპორტო კოლაფსი გამოიწვია.

რაც შეეხება საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის პირად ცხოვრებას, კირიაკოსს მიცოტაკისის მუფლვე საბერძნეთში ცხოვრობდა პოლონელი ქალბატონი მარევა გრაბოვსკია. მათ ერთმანეთი პარავარდში სწავლობის გაიცნეს, როცა მარევა ბონენს-ადმინისტრაციის მაგისტრის კურსს გადიოდა. მარევაზე დაქორწინება ჩემი ცხოვრების საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, ასე ამბობს კირიაკოსი. მიცოტაკისების წყვილი სამი შვილი ჰყავთ, ორი გოგონა და ერთი ვაჟი. სხვათაშორის, მარევა გრაბოვსკია ორი კომპანიის დამფუძნებელი და მთავარი აღმასრულებელი პირია.

დღეს სულ ის იყო. მადლობა მხარდაჭერისთვის.

ნუმბარ ზ. რუსხადი

საქართველოს რესპუბლიკა



რა ძალა ჰქონია, მაინც, შთაბრძნავლობით ხალი-სუფლებსა და მე მხოლოდ მონარქთა ოჯახურ დინასტიურობაზე როდი გელაპარაკებოდა. თანამედროვე დინასტიებიც არსებობენ, რომლებიც დემოკრატიის პირობებშიც კი, თაობიდან თაობაში ძალაუფლების შენარჩუნებას ახერხებენ. ასეთია, მაგალითად, კენედებისა და ბუშების ცნობილი ოჯახები. ამერიკის მეორე და მეექვსე

1. ყარაბაღის პრობლემა და გასლერილი სომხეთი

2. მიცოტაკისის დინასტია საბერძნეთში

მთელს ამ ახლანდელ საერთაშორისო ორბიტაში, ყველაზე გუნდოვან და გაუგებარ შთაბეჭდილებას მიუტოვებს სომხეთში მიმდინარე მოვლენები ტომების. ქვეყანამ, თითქოს, რუსეთის ორბიტიდან გადოსვლა მოსინჯა და განვითარების პოლიტიკური ვექტორი დასავლეთისკენ მიმართა, მაგრამ მართლა შეუტია თუ არა სომხეთის პოლიტიკურმა ელიტამ რუსულ დიქტატს, მაინც ძნელად მისახვედრია. ამრიგის ბოლო დღეებიდან მოყოლებული, ერევანი ისევ საპროტესტო აქციებშია მოიცვა. ოპოზიციამ კვლავ ერჩის პრემიერ-მინისტრს და ქვეყნის ინტერესების შელახვაში ისევ სდებს ბრალს. სომხები ხალხის ერთი ნაწილი ნიკოლ ფაშინიანის გადადგომას წინანდელი დღეებით იხოვს.

პირველ მაისს ოპოზიციის ლიდერებმა და მხარდამჭერებმა ერევანში, საფრანგეთის მოედანზე, კარვები გაშალეს და განაცხადეს, რომ ორი მაისიდან დაუმორჩილებლობის აქციებს იწყებენ. იყო ერევნის ცენტრალური ქუჩების გადაკეცვის მცდელობა და პოლიციასთან ფიზიკური შეტაკებაც. ათეულწლიანი ადამიანთა დაკავებულის ოპოზიციამ პრემიერ-მინისტრ ფაშინიანს აზერბაიჯანთან პოზიციების დათმობასა და იმ განზრახვაში ადნაშაულებს, რომ მას სურს ხელი მოაწეროს ბაქოსთან შეთანხმებას, რომლითაც სომხეთი მთიან ყარაბაღზე აზერბაიჯანის სუვერენიტეტს აღიარებს. საპროტესტო გამოსვლები მას შემდეგ დაიწყო, რაც ქვეყნის პრემიერმა განაცხადა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა სომხეთისგან მთიანი ყარაბაღის სტატუსის შესახებ მოთხოვნების თამასის დაწვევას ელისო. ოპოზიციისთვის სრულიად მიუღებელია ყარაბაღის რეგიონის აზერბაიჯანის შემადგენლობაში შესვლა ნებისმიერი სტატუსით. მათ უკვე ხმამაღლა განაცხადეს, რომ სომხეთში დაწყებული ეს ახალი საპროტესტო მოძრაობა, სულ მალე, მთავრობის დამხობას გამოიწვევს. ფაშინიანის მთავრობა კი, თავის მხრივ, დარწმუნებულია, რომ მას სომხები ხალხის ფართო მხარდაჭერა აქვს.

დაძაბულობა მთიან ყარაბაღში 24 მარტს დაიწყო, როცა სომხეთმა აზერბაიჯანი 2020 წლის ცნობილი შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულა. გაუღერდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანის სამხედრო ძალებმა მთიანი ყარაბაღის იმ ნაწილში, რომელსაც რუსეთის სამშვიდობო ძალები აკონტროლებენ, კიდევ ერთი სოფელი დაიკავეს და თავდასხმები თურქული ბაირახტარის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით განაგრძო, რის გამოც სამი სომეხი ჯარისკაცი დაიღუპა და თოთხმეტი დაიჭრა. აზერბაიჯანის მხარე კი, პირიქით, პროვოკაციულ ქმედებასა და 2020 წლის საზავო ხელშეკრულების დარღვევაში სომხეთი დაადანაშაულა.


ბრიუსელში, ევროკავშირის ურთავლობით, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეთაურები ერთმანეთს შეხვდნენ. შედეგად, ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს სამშვიდობო მოლაპარაკებების მომზადება დაევალიათ. შეხვედრას, რომლის შედეგებშიც სომხური ოპოზიციამ უკმაყოფილო დარჩა, ევროკავშირის პრეზიდენტი შარლ მიშელიც ესწრებოდა. ოპოზიციის გაღიზიანება, ყველაფერთან ერთად, აზერბაიჯანის პრეზიდენტის მუქარამაც გამოიწვია, როცა მკაცრად გაუსვა ხაზი, რომ სამშვიდობო შეთანხმება სომხეთისთვის ბოლო შანსია, და თუ მასზე უარს იტყვიან, აზერბაიჯანი სომხეთის ტერიტორიულ მთლიანობას საერთოდ არ აღიარებს. ამით, ალიეგმა მიანიშნა, რომ აზერბაიჯანი იძულებული იქნება ზანგეზურის დერეფანი დაიკავოს. მან ასევე განაცხადა, რომ მოლაპარაკება სასწრაფოდ უნდა დაიწყო და, რაც მთავარია, არ უნდა გაქიანურდესო.

სომხეთის მოსახლეობის უმრავლესობა ჯერჯერობით მხარს უჭერს ფაშინიანის პოლიტიკას, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ სომხეთში შიდა პოლიტიკური წნევა საგრძნობლადაა ანეული, რაც, სავარაუდოდ, ხელს შეუშლის მისი პოლიტიკის ბოლომდე გატარებას. ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას, სომხეთის ყოფილმა ომბუდსმენმა არმან ტატოიანმა განაცხადა, რომ ყველაზე საშიში საზოგადოებრივი აზრის მოსალოდნელი გაყოფაა, რადგან ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით, ხალხში არავითარი სოლიდარობა არ არსებობს. სხვა სომეხი ანალიტიკოსებიც იგივეს ამბობენ, მაგრამ იმასაც უსვამენ ხაზს, რომ სომხეთში პოლიტიკური დაპირისპირება ხელს მხოლოდ გარე ძალებს აძლევს. გარე ძალებში კი, ისინი,



ესე პრეზიდენტებიც მამაშვილი იყვნენ. სირიაზე და ჩრდილოეთ კორეაზე აღარ ვლაპარაკობ, და არც საბერძნეთი ყოფილა გამონაკლისი. თანამედროვე ელადის პოლიტიკური ისტორიაში სამი ოჯახური დინასტია გამოიკვეთა. ამ ოჯახთა გვარებია: პაპანდრეუ, კარამანლის და მიცოტაკის.

საბერძნეთის დღევანდელი პრემიერ-მინისტრი, 54 წლის კირიაკოს მიცოტაკისია. მიცოტაკისების პოლიტიკური დინასტიის დამაარსებელია ევროპაში ცნობილი ბერძენი პოლიტიკოსი ელევთერიოს ვენიზელოსი. მას 1910-დან 1933 წლამდე, ანუ 23 წლის განმავლობაში, რვაჯერ ეკავა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. სწორედ მის სახელს ატარებს დღეს ათენის საერთაშორისო აეროპორტი. ელევთერიოსის დღევანდელი პრემიერ-მინისტრის დიდი პაპა იყო. კირიაკოსს მიცოტაკისის მამა, კონსტანტინოს მიცოტაკისი, მეოცე საუკუნის 90-იან წლებში, პოლიტიკური პარტიის ლიდერი და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი იყო. კირიაკოსის დაც, დორა ბაკოიანისი, საბერძნეთის გავლენიანი პოლიტიკოსია. ის ათენის მერიც იყო თავის დროზე და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც. კირიაკოსს მიცოტაკისი 1968 წელს დაიბადა ქალაქ ათენში. ის ის წელია, სამხედრო გადატრიალების შედეგად ქვეყნის სათავეში სამხედრო ხუნტა რომ მოვიდა. მასინ, ხუნტამ მიცოტაკისების მთელს ოჯახს შინა პატიმრობა მიუსაჯა. ექვსი თვის ჩვილი იყო კირიაკოსი, როცა მისმა ოჯახმა, თურქეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის დახმარებით, თურქეთს შეაფარა თავი. გაცივდა დრო და ოჯახი თურქეთიდან პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. 1974 წელს, კირიაკოსი 6 წლის რომ იყო, ხუნტა დაემხო და მიცოტაკისების ოჯახი საბერძნეთში დაბრუნდა. ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა უმაღლესი განათლება ამერიკაში მიიღო. მან 1990 წელს პარავარდის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის წოდება მიიღო. მისი საბაკალავრო ნაშრომი პარ-



ბაიდანი მოსკოვთან დაკავშირების შესახებ

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ ოფიციალური კომენტარი დააკეთა...

ის შესახებ გამოცემა The Washington Post საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება.

„ვაშინგტონი უკრაინაში მილიარდობით აშშ დოლარის ღირებულების იარაღს აგზავნის, მაგრამ შეერთებული შტატები ბევრად უფრო ფრთხილია რუსული არმიის შესახებ უკრაინისთვის სადაზვერვო ინფორმაციის გადაცემაზე“...

ეს აგრეთვე ეხება რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის უფროსს ვალერი გერასიმოვს და თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს. ამასთან, როგორც გამოცემა წერს, აკრძალვა არ ეხება უკრაინის ტერიტორიაზე მყოფი რუსი ოფიცრების მონაცემებს...

ამ შეზღუდვების გარდა, ოფიციალური ვაშინგტონი იცავს წესს, რომელიც უკრაინისთვის იმის მიწოდებას კრძალავს, რასაც ოფიციალური პირები „მიზანმიმართულ ინფორმაციას“ უწოდებენ...

მანამდე, ამერიკული მედია იტყობინებოდა, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანურ ხომალდზე, კრესერ „მოსკოვზე“ თავდასხმა უკრაინისთვის გადაცემული ამერიკული სადაზვერვო ცნობების წყალობით გახდა შესაძლებელი.

„აზოვის“ მემკვიდრეობის სოკოპოლი

რომის პაპი ფრანცისკე „აზოვის“ მეთაურის, დენის პროკოპენკოს და ამ პოლკის მებრძოლის, არსენი ფედოსიუკის მემკვიდრეებს შეხვდა.

ეკატერინა პროკოპენკო და იულია ფედოსიუკა პონტიფექსთან დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში ისაუბრეს. მათ ფრანცისკეს სთხოვეს პირდაპირ მიმართოს რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს მემკვიდრეების გათავისუფლების თხოვნით...

იქნებ ილონ მასკამ იხსნას?!

უკრაინის საზღვაო ძალების წარმომადგენელი სერგეი ვოლინა, რომელიც „აზოვსტალის“ ქარხანაში სხვა მებრძოლებთან ერთად იმყოფება, სოციალური ქსელის საშუალებით ილონ მასკს მიმართავს და ევაკუაციაში დახმარებას სთხოვს.

„ამბობენ, რომ სხვა პლანეტიდან მოხვედი, რათა ასწავლო ხალხს, ირწმუნონ შეუძლებელი ჩვენი პლანეტები მებრძოლად, რადგან ახლა ვცხოვრობ იქ, სადაც გადარჩენა შეუძლებელია. დაგვეხმარე, დავტოვოთ „აზოვსტალი“ შუამავალ ქვეყანაში. თუ შენ არა, მაშინ ვინ? მომეცი მინიშნება“, - წერს ვოლინა. ილონ მასკი ამ მიმართავს ჯერ არ გამოხმაურებია. უკრაინული მედიის ინფორმაციით, „აზოვსტალის“ ქარხანაში 1000-1200-მდე მებრძოლი რჩება, რომელთა შორის ასობით დაჭრილი და დაშავებულია. ისინი ანტისანიტარიულ პირობებში, მედიკამენტების, საკვების და სასმელის წყლის დეფიციტში იმყოფებიან.

არისტოკრატისა და მის ოჯახს ემუქრებიან

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველი ალექსეი არესტოვიჩი აცხადებს, რომ მას და მის ოჯახს ემუქრებიან ადამიანები, რომლებიც თავს „აზოვის“ მებრძოლების ცოლებად და ნათესავებად წარადგინენ. ამის შესახებ უკრაინული მედია წერს.

„უკვე მეორე დღეა, მე და ჩემს ცოლს გვემუქრებიან პირები, რომლებიც ამბობენ, რომ „აზოვის“ მებრძოლების ცოლები და ნათესავები არიან. ჩვენ სიკვდილით დასჯა გველის, მე, ჩემს ცოლსა და ჩვენს შვილებს მოგვეკლავენ, დაგვევრეტენ და არ გვაპატიებენ, რომ კიევში ვსხედვართ და „აზოვი“ ჩამოვწერთ“, - განაცხადა არესტოვიჩმა. მან აღნიშნა, რომ მარიუპოლში, „აზოვსტალის“ ქარხანაში „აზოვის“ მებრძოლების გარდა მესაზღვრეები, პოლიცია და სხვა სამხედრო და ნაყოფების მებრძოლები რჩებიან და მათი ნათესავები „არისტომლაც არავის არაფერში ადანაშაულებენ“.

დაბრუნების უპირობო

საზახმთის ეროვნულ აკადემიურ ბიბლიოთეკაში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „მუსტაფა შოკაის მემკვიდრეობა საზინო და უცხოურ კვლევებში“. მასში მთავარი ადგილი დაიკავა რუსეთის ფედერაციის რეგიონალური პრობლემების ინსტიტუტის დირექტორის, დიმიტრი ჟურავლიოვის გამოსვლამ...



დოქტორმა, ჩ. ვალიხანოვის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორმა.

როგორც მან აღნიშნა, არქივში დაცულია დოკუმენტები მუსტაფა შოკაის შესახებ და თანამშრომლობის შესახებ ყაზახეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა „ალაშ“-ის ლიდერთან, ალ-ხან ბოკეიხანოვთან. საბჭოთა პერიოდში, როცა მუსტაფა შოკაის სახელი აკრძალული იყო, თურქეთის ყაზახებმა პირველებმა დააფასეს იგი. მათ პირველებმა მოქმედეს მისი დაკრძალვის ადგილი.

თავის მხრივ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელმა კანრამონ რაჯაბოვმა ისაუბრა 1918 წელს თურქესტანში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ისტორიისადმი საზოგადოების ინტერესის გაზრდის შესახებ. ანტიკოლონიალიზმისა და დამოუკიდებლობის პატივსაცემად იდეები იმ დროს წამოაყენა თურქესტანის ავტონომიის ლიდერმა მუსტაფა შოკაიმ, გამოიწვია ფართო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევა, რომელიც მოიცავდა ყველა სოციალური ფენის, რეგიონის ყველა ხალხის წარმომადგენლებს. ბევრმა მათგანმა სიცოცხლე გაწირა თურქესტანის თავისუფლებისთვის.

შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე მირზატაი ყოლდასბეკოვი, გუმბილიოვის სახელობის ყერაზიის ეროვნული უნივერსიტეტის პრორექტორი, ყაზახეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი დინარ კამზაბეკული, საბიტ შილდებაი - ყაზახეთის ცენტრალური არქივის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბურკიტბაი აიაგანი და სხვა ადგილობრივი მეცნიერები, აგრეთვე სამეცნიერო სამყაროს წარმომადგენლები საფრანგეთიდან, უზბეკეთიდან, ყირგიზეტიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან. კონფერენცია კულტურის სამინისტროსა და საერთაშორისო თურქული აკადემიის ინიციატივით გაიმართა. კონფერენციის ფარგლებში მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო მუსტაფა შოკაისადმი მიძღვნილი სამეცნიერო პუბლიკაციები, წიგნები და სტატიები და მისი ხელნაწერებისა და წერილების ასლების გამოფენა ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული არქივის ფონდებიდან.

შეხვედრას უძღვებოდა საერთაშორისო თურქული აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ყაზახეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი დარხან კიდირალი. მან ისაუბრა მუსტაფა შოკაის ცხოვრებასთან დაკავშირებული ახლად აღმოჩენილი ისტორიული დოკუმენტების შესახებ.

ალბათ, დღეს არ არსებობს თურქულ სამყაროში ისეთი ადამიანი, რომელიც არ იცნობს მუსტაფა შოკაის - თავისუფალი თურქესტანის იდეოლოგს, ყაზახი ხალხის ინტერესებისთვის მებრძოლს. ბოლშევიკურ გადატრიალებამდე მუსტაფა შოკაი მუშაობდა სახელმწიფო სათათბიროს მუსლიმური ფრაქციის მდივნად. შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა თურქესტანის ავტონომიას. ბოლშევიკების მიერ თურქესტანის ავტონომიის დამარცხების შემდეგ მუსტაფა შოკაი 1921 წელს სტამბოლის გავლით პარიზში ემიგრაციაში წავიდა. ჯერ საფრანგეთში ცხოვრობდა, შემდეგ გერმანიაში. ემიგრაციაში ყოფნისას გამოსცემდა ჟურნალებს „ახალი თურქესტანი“, „ახალგაზრდა თურქესტანი“, სადაც საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას აკრიტიკებდა.

არქივისტებისა და ისტორიკოსების აზრით, გადასახლებაში მუსტაფა შოკაი წერდა სტატიებს თურქი ხალხის გაერთიანების აუცილებლობის, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ. ის არასოდეს ყოფილა ხალხს რასობრივი ან ეროვნული ხაზებით, ისევე როგორც არასდროს ყოფილა გატაცებული ნაციონალისტური იდეებით (ის დაქორწინდა მარია გორინაზე) - საბჭოთა ისტორიოგრაფიაში წარმომჩენილი მოსაზრების საწინააღმდეგოდ. და, მით უმეტეს, მას არასოდეს უთანამშრომლია ნაცისტებთან. შოკაი გარდაიცვალა 1941 წლის 27 დეკემბერს, ფაშისტური გერმანიის დედაქალაქ ბერლინის საავადმყოფოში, საეჭვო ვითარებაში. შესაძლოა, იგი მონამლეს ...

ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული არქივის თანამშრომლებმა იპოვეს მუსტაფა შოკაის წერილები, რომლებიც მიუთითებს მისი პოლიტიკური შეხედულებების განვითარებაზე ემიგრაციის პერიოდში. არქივისტების მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელზეც ჯერ კიდევ ცოტაა ცნობილი, არის ის, რომ მუსტაფა შოკაის არასოდეს უთანამშრომლია ნაცისტებთან საკონცენტრაციო ბანაკში, - თქვა გულუაუხარ კოკებაევამ, ისტორიულ მეცნიერებათა

თურქესტანის ავტონომიური მთავრობის მინისტრების უმეტესობას, მუსტაფა შოკაის ხელმძღვანელობით, უმაღლესი იურიდიული განათლება ჰქონდათ, რაც მათ მალაღკომპეტენციაზე მიუთითებს. დროებითი მთავრობის წევრებმა 1918 წელს მოსახლეობას სპეციალური მოწოდებით მიმართეს. მასში თურქესტანის მთელი მოსახლეობა, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა, სქესისა, ასაკისა და პოლიტიკური კუთვნილებისა, მოუწოდებდა ერთიანობასა და სოლიდარობისკენ. სამწუხაროდ, პირველი დემოკრატიული სახალხო ხელისუფლების საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელდა. ბოლშევიკები მასში საშიშროებას ხედავდნენ და ცდილობდნენ რაც შეეძლება მალე მის ლიკვიდაციას.

„მუსტაფა შოკაი ყაზახეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ფიგურაა“, - თქვა ალექსანდრე კადიბაევი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორმა. 1917 წელს თურქესტანის თვითგამორკვევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები არ ეწინააღმდეგებოდა ლენინის ბრძანებულებებს და ემთხვეოდა იმ წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, როდესაც ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა ხალხმა დაიწყო ავტონომიის გამოცხადება.

საინტერესოა აზრი გამოთქვა რუსეთის ფედერაციის რეგიონული პრობლემების ინსტიტუტის დირექტორმა დიმიტრი ჟურავლიოვმა. მისი აზრით, ისტორიული პირების მემკვიდრეობის ღირებულება არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ კულტურული კომპონენტებითაც უნდა შეფასდეს.

— დღეს შეიძლება ვისაუბროთ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებზე, რომლებიც შეიქმნა მყარ კულტურულ საფუძველზე, ეს საფუძველი კი მუსტაფა შოკაიმ ჩაადგინა, - აღნიშნა დ. ჟურავლიოვმა.

ასე და ამრიგად, თურქესტანის ავტონომიის შექმნა ცენტრალურ აზიაში დამოუკიდებელი ეროვნული მშენებლობის პირველი მცდელობა იყო და მუსტაფა შოკაი ხალხთა თავისუფლებისთვის მებრძოლი ლიდერი შუა აზიის თანამედროვე სახელმწიფოების დამოუკიდებლობის შიკრიკად მოგვევლინა.

ივორ პროსპროვი, ყაზახეთი

ვიზააყოფი!

თხა თხაზე ნაკლები...

საბარტოველოს ეროვნული ნაკრების ლიდერი თორნიკე შინგალია საკალათბურთო ევროთასის მფლობელი გახდა...



სიც გააჩნია, დუბლის შესრულება საკლებით შესაძლებლად გამოიყურება.

ფინალური მატჩი ბოლონიაში თურქულ, ბურსასფორთან გაიმართა და მისი ბედი მასპინძლებმა შესვენებამდე 13-ქულიანი დანინაურებით გადწყვიტეს...

„ჯვაროსანთა“ კაპიტნის მონაგარი: 22 წუთში 5 ქულა, 7 მოხსნა და 2 ზუსტი გადაცემა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენებურის გუნდს „სერია - ა“-ს რეგულარულ სეზონში გამარჯვების შემდეგ „სკუდეტოს“ მოხვეჭის რეალური შან-

სიც გააჩნია, დუბლის შესრულება საკლებით შესაძლებლად გამოიყურება. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ გიორგი შერმადინმა „ტენერიფესთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო...

ამასობაში თბილისის ფიბას წარმომადგენლობითი დელეგაცია სტუმრობს, რომელმაც შარშანდელი დეკემბრისგან განსხვავებით დადებითად შეაფასა ევრობასკეტისთვის ახალი მულტიფუნქციური დარბაზის მშენებლობის ტემპი.

მოვლენა

ზღაპარი წყალში

თბილისის „დინამო“ წყალბურთელთა ჩემპიონთა ლიგა ისტორიული გამარჯვებით დაასრულა - საკუთარ აუზში ერთ-ერთ ევროპულ გრანდს პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ 14:13 სძლია...

ბევრმა შეიძლება აღნიშნული წარმატების მსგავსი შეფასება გადაჭარბებულად შეაფასოს, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ბერძნული მართლაც ვარსკვლავური შემადგენლობის გუნდის სპორტულ ღირსებას ტიტულოვან უცხოელ ლეგიონერებთან ერთად ერთბაშად ტოკიოს ოლიმპიადის 9(!) ფინალისტი იცავს?

ელადელთა კარში გატანილი გოლები ავტორები არიან: სარიჩი - 4, ვასიჩი - 3, ელაჩა, ადვილი - 2-2, ტყეშელაშვილი, მესხი, ბითაძე - თითო.

შეგახსენებთ, რომ მანამდე დეიან

სტანოვივიჩის შეგირდებმა ხორვატულ „იადრანს“ სძლიეს.

დავძენთ, რომ ქართული საკლუბო წყალბურთის ფლაგმანი გაისადაც იტალიაში ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში, რადგან რამდენიმე დღის წინათ ქულათა მაქსიმუმით გახდა ქვეყნის ჩემპიონი.



პოპი

ჩეკოლუსიურს, ჯერარნახულს...

შიშს რომ დიდი თვალები აქვს, ბავშვობიდანვე გვასწავლიდნენ, მაგრამ თუ ისეთი ერთი შეხედვით ძლევაში იყავი და, ამავდროულად, ცვლილებებისადმი კონსერვატიული მიდგომებით გამოჩენილი სტრუქტურა, როგორც ვუფას ვიცნობთ, ასეთი „კურდღელი“ აღმოჩნდებოდა, ძნელად თუ წარმოიდგენდა კაცი, მეტადრე - ფენბურთის რიგითი ქომაგი.

ზემთ შემთხვევით არ გაგვივამს ხაზი შვიცარიის ქალაქ ნიონში განთავსებული შტაბ-ბინის ბინადართა მიერ ძნელად გადადგმულ რეფორმატორულ ნაბიჯებზე - საილუსტრაციოდ მხოლოდ „ბოსმანის საქმის“ გახსენებაც კმარა, მაგრამ ის იდეა, რომელიც ნეიტრალურ ალბურ სახელმწიფოში ამ დღეებში იშვა, შეიძლება რევოლუციურად შეფასდეს.

საუბარია ჩემპიონთა ლიგის ახალ ფორმატზე, რომელიც ძალაში 2024-2025 წლების სეზონიდან უნდა შევიდეს და თავიდან ბევრს შეიძლება კომერციული თვალსაზრისით განხორციელებულ ნოუ ჰაუდ მოეჩვენოს, მაგრამ თუ საქმის არსს ღრმად ჩავენვებით, არანაკლებ გასათვალისწინებელი გარემოებით გამოწვეულ იძულებით ზომამდე მიგვიყვანს.

კერძოდ, თითქოს ჩაცხრა ვნებათაღელვა ბოხოლა კლუბთა მიერ ელიტური სუპერლიგის შექმნის თაობაზე, რადგან მათმა უმეტესობამ მალევე დაიხია უკან და მოკვეთის საფრთხის გამო უარი თქვა „ბრჭყვიალა“ პროექტში მონაწილეობაზე, ხოლო ყველაზე კერპეტ კაკალთა ტრიოს „რეალის“, „ბარსელონასა“ და „იუვენტუსის“ შემადგენლობით გო-



ნივრული ვადა მიეცა შერისხვისგან თავის ასაცილებლად დადგენილი საჯარიმო თანხის დასაფარავად, მაგრამ, როგორც ირკვევა, ალექსანდრ ჩეფერინის კანტორას ბოლომდე არ სჯერა, რომ მემბოხენი საფუძვლიანად ალაგმა და ვითარების

ერთხელ და სამუდამოდ განსამუხტავად მაშველ რგოლს მიაგნო.

რაც შეეხება ახალშობილი სისტემის კონკრეტულ დეტალებს, ამიერიდან ყველაზე პრესტიჟული კონტინენტური ტიტულის მოსაპოვებლად 32-ის ნაცვლად 36 გუნდი იბრძოლებს არა ჯგუფურ რაუნდში, არამედ შვეიცარიული ფორმულით, რაც თავიდანვე შინ და გარეთ შეხვედრებს გულისხმობს, საწყის ეტაპზე კი რჩეულინი ამჟამინდელი 6-ისგან განსხვავებით 8 მატჩს მოაწყობენ და მხოლოდ ამის შემდეგ, ანუ მერვედფინალური პლეი-ოფიდან გადავლენ უკვე ტრადიციულ ფორმატზე.

საინტერესოა კვოტების გაზრდის მეთოდიც. პირობითად, ტურნირებიდან რუსეთის წარმომადგენელთათვის წითელი ბარათის აფრიალებით დამკვიდრებული მდგომარეობით, რეიტინგი დამატებით ადგილებს ინგლისსა და ნიდერლანდებს სთავაზობს, თუმცა ეს მხოლოდ პირობითად, რადგან ორ წელიწადში რომელიც ქვეყანა რომელ პოზიციაზე იქნება, ან საერთოდ მიიყვანს კი უფვა საქმეს მისი ჩანაფიქრის პრაქტიკაში დაწერვამდე, ადვილი გამოსაცნობი ნამდვილად არაა. მით უმეტეს მაშინ, როცა სპორტულ სამყაროში ავტორიტეტული მრავალი პერსონის მხრიდან უკვე გაულერდა საახლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, რაც მოსალოდნელიც იყო - ოპონენტები ხომ ყველა, მათ შორის სავარაუდოდ პროგრესულ რეფორმებსაც მოექმნებიან ხოლმე.

დავძენთ, რომ ეს პროექტი ევროპა ლიგასა და კონფერენს ლიგასაც მოიცავს.

გაიღვიძეს!



სჯობს გვიან...

ბიშრი ეთანხმება და, ამავდროს, უკავრებდასაც გამოთქვამს უკრაინაში შეჭრის გამო სპორტული სამყაროს მიერ განხორციელებული უმცარესი სანქციებისადმი რუსეთის მიმართ.

ჩვენ, ბუნებრივია, ჩვენი მოუშუშებელი ტერიტორიული ჭრილობები გვტყვია, მაგრამ ისიც საინტერესოა, როგორ ახსნას უძებნის მაშინდელ წაყრუებას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თანამედროვე თავკაცი თომას ბახი ერთ-ერთ კომენტარში, რათა მომავალში მაინც აიცდინონ თავიდან სირაქლემას

პოზაში ყოფნა მისმა შემდგომმა კოლეგებმა:

„ხშირად გვეკითხებოდნენ - რა მოვიმოქმედეთ მაშინ, როცა ომი იყო ავღანეთში, სირიაში, იემენში, მალიში, ეთიოპიაში?..“

სამწუხაროდ, კრიზისი ბევრგან იყო, პასუხი კი ის გახლავთ, რომ ეს არის ოლიმპიური ზავის დარღვევის გაუგონარი შემთხვევა. დაცვის ამგვარი ზომები იმიტომ მივიღეთ, რომ სხვა კონფლიქტებზე მსოფლიოს რეაქცია არ ყოფილა ისეთი, როგორც უკრაინაში რუსულ აგრესიაზე.

ჩვენი ოლიმპიური ღირებულებები ითვალისწინებს მშვიდობიან კონკურენციას ყველა ქვეყნის სპორტსმენთა შორის. ეს არის ნებისმიერი დისკრიმინაციის დაძლევისა და მიუღებლობის მაგალითი.

დავსჯით მხოლოდ პასუხისმგებელ პირებს და არ გამოვიტანთ სანქციებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წინააღმდეგ მთავრობათა მოქმედებების გამო, თუ ეოკების ლიდერები არ უჭერენ მას მხარს.

საუბარია უკრაინელი მეგობრების მიმართ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერაზე, მათ დაცვასა და დახმარებაზე. მათი მდგომარეობა გადამწყვეტია“.

ელიტაზი

ბრიტანულ ტალღაზე

ბძმამე ყველაზე ტიტულოვან სსუკერის-ტად მსოფლიოს შვიდგზის შოტლანდიელი ჩემპიონი სტივან პინდარი ითვლებოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, მუდმივი არაფერია.

მას შემდეგ, რაც ინგლისურ შევილდში გამართული მორიგი უმაღლესი რანგის ფორუმი ლეგენდარული მასპინძლის - ან უკვე ასევე შვიდგზის ტრიუმფატორის რონი ო'საღიანის გამარჯვებით დასრულდა, რეკორდსმენი უკვე ორია.

მან საკუთარ კედლებში ზედიზედ დაამარცხა თანამემამულე დევიდ გილბერტი - 10:5, მარკ ალენი (ჩრდილოეთ ირლანდია) - 13:4, სქოთები - სტივენ მაგუაირი და ჯონ ჰიგინსი შესაბამისად - 13:5 და 17:11, ხოლო ფინალში - კიდევ ერთი ინგლისელი ჯად ტრამპი - 18:13.

იერარქიაში წამყვან დუეტს კვალში უდგანან: დევისი (ინგლისი), რერდონი (უელსი) - 6-6, სელბი, სპენსერი (ორივე - ინგლისი), ჰიგინსი (შოტლანდია), უილიამსი (უელსი) - 4-4 ტიტული.



დაცემა

ძნელი სათქმელია, XIX საუკუნეში ინგლისის დედაქალაქში აშენებულ უინდსფორტის ციხეს ოსკარ უაილდზე სახელოვანი ტუსალი თუ მყოლია, რომელიც იქ პომოსექსუალიზმისთვის გამოამწყვდიეს, მაგრამ ფაქტია, რომ რიგით პატიმარს ვერც ბორის ბევერს ვუნოვებთ, „დიდი სლემის“ საჩოგბურთო ტურნირები ექვსჯერ რომ მოუგია და უიმბლდონის კომპლექსის სახალოვეს ბინა ერთ თვით დაიდო, ხოლო შემდეგ თაღლითობის გამო ლონდონის სასამართლის მიერ მისჯილი ორწლიანხვედრიანი ვადის დაწარჩენ ნაწილს ნაკლებად მცაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გაატარებს.

ზემთ იქაური პირობები შემთხვევით არ გვისხენება - ვის-ვის და „ნიუ იორკ თაიმსს“ ნამდვილად დაეჯერება: „ვირთხები, გაუთავებელი ძალადობა, ნარკოტიკების გამოყენება და პატიმრების გამოკეტვა საკნებში 22 საათის განმავლობაში - ასეთია ნახევრადანგრეული ვიქტორიანული შენობის ყოველდღიურობა“.

თვით გერმანელი ლეგენდა, რომელმაც 2017 წელს




ქოშპარული ერთი თვე

თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, რათა არ გადაეხადა 60-მილიონიანი ვალი, რისთვისაც სამი მილიონი ევროს ოდენობის ქონება და კრედიტები დამალა, პატიმრებით გადავსებული საპყრობილის იმ ნაწილში მოათავსეს, სადაც 86 საკანია თითოში 6 ბინადრითა და მხოლოდ 6 საშხაპით.

ბუნებრივია, 22-საათიანი იზოლაციის გამო პატიმართა დიდი კონტინგენტიდან ბევრი ფსიქიკურ აშლილობას უჩივის და ხშირია დისციპლინის სხვადასხვა სახით დარღვევისთვის ფიზიკური ძალის გამოყენება ციხის თანამშრომელთაგან.

გულმკობი მასტანო ვეფხვაძე!



სწორად გვსმენია – ემ, თბილისი, რომ თბილისობდა... გვსმენია კი არა, გვესმის ყოველდღიურად, მატულობს ნოსტალგია წარსულისადმი, იმ თბილისისა და ქალაქისადმი, რომელიც გამორჩეული გახლდათ თავისი კულტურით, ტრადიციებით, ადათითა და ვაჟკაცობით. „თბილისელი“ – იტყვოდნენ და სწორედ ისეთი ადამიანები წარმოგადგე-

თბილისქალაქის მესობა

ბოდნენ თვალწინ, რომლებიც ჭირსა და ლხინში ერთმანეთის გამტანნი, არავის დამჩაგრავნი და ყველასადმი მომფერებელნი იყვნენ, სტუმარს მასპინძლობდნენ, ვაჟკაც კაცს ბაძავდნენ, შვილებს ზრდიდნენ და თავიანთი ქალაქის სიყვარულს ოჯახისა და სამშობლოს სიყვარულთან ერთად ასისხლხორცებდნენ.

სწორედ ასეთი კაცი დააბიჯებს ჩვენი უბერებელი დედაქალაქის ქუჩებში, თითზე ჩამოსათვლელ სამოსთან ერთად, დააბიჯებს სიყვარულით, სიმკაცრით, სიტკბოთი, ტრადიციებითა და თბილისელობით. ეს კაცი, თბილისის მოჰიკანი, კოლორიტი პიროვნება და ქალაქს შესისხლხორცებულ მესობაზე ვეფხვაძე გახლავთ – საუკეთესო მეუღლე, მამა და ბაბუა, შეუდარებელი მეგობარი და იმ ლამაზი

პლედის წარმომადგენელი, რომელთა ხელი, სიტბო და სიყვარული მოაკლდა ჩვენს დედაქალაქს.

80 წელი შეუსრულდა ჩვენს ძმასა და მეგობარს. ასეთი ადამიანისთვის რვა ათეული მხოლოდ „საპასპორტო ასაკია“ – ათი იმდენისაა თბილისის სიყვარულში, თბილისის თანატოლია, თბილისის მეციხოვნე და ტრადიციების მატარებელი კაცი.

გილოცავთ, სიყვარული და მხნეობა ნუ მოგაკლავთ ღმერთმა, კიდევ დიდხანს ალამაზეთ ეს თბილის-ქალაქი თქვენი ცხოვრებით. სანამ თქვენაირი ადამიანები არსებობენ, ცხოვრება იოლდება, ლამაზდება და იმედიანი ხდება.

ემური სიყვარულითა და ერთგულებით მებოძრები

როსა კასი თვითონ სიყვარულია

დაბადების დღიდან მთელი გონდაზმული წლები სიყვარულში და ერთგულებაში განვლო, ცხადია, ადვილი არ არის ამ აღმართ-დაღმართიან, უზარაქო წუთისოფელში. ეს მხოლოდ კაცობის ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულთა ხვედრია. სწორედ ასეთი იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულთა შორის იხსენიება დიდებული ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი მასტანო ვეფხვაძე, რომელმაც ახლა უკვე გრძელი 80, ანუ ორჯერ ორმოცი წელიწადი მოღუნა. დიას, ორჯერ ორმოცი, რამეთუ იგი ორჯერ ორმოცი წლის ასაკგაზრდას სულისა და გულისკვეთებით.

ვახტანგი ნაღდი ქართველობის, კაცობის, სიყვარულისა და ერთგულების საყოველთაო მაგალითია, რომელიც მაგალითი და დიდი სიკეთის გზის მაჩვენებელია განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის, რომელმაც უნდა

იცოდეს, რომ სწორად არც წამალია საჭირო და არც ექიმი, თუ ადამიანი მეორე ადამიანის მიმართ ჭეშმარიტი სიყვარულით სავსე სხეულია, როგორც ჩვენი გაზეთის უკეთესობილესი მეგობარი ვახტანგ ვეფხვაძე.

დიას, იგი ბრწყინვალე ამართლებს თავის გვარს, ნამდვილი ვეფხვია, ამავე დროს, იგი ფუტკარიც არის, რომელსაც ბუნებამ ერთდროულად თავლიც დაანათლა და ნესტარიც, მაგრამ ვახტანგს მთელი ამ ოთხმოცი წლის მანძილზე ნესტარი არასოდეს გამოუყენებია, იგი მხოლოდ თავლს გასცემს სიყვარულის სახით.

მადლობა, ბატონო ვახტანგ თქვენი ჭეშმარიტი ადამიანობისთვის. გვეჯერა, რომ საუკუნედ დარჩენილ ორ ათეულ წელიწადსაც მოყვადვით სიყვარულსა და თანადგომას გალევთ შენს დიდ და ბედნიერ ოჯახთან ერთად.

შენი კაცურკაცობის მადლიერი,

გაზეთ „საბართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

და, მრავალი წელი კვლავ საამოდ კბიკვს უენი კითილი გული!



ცხოვრების ხანგრძლივ გზაზე ჯიშალ კუხალაშვილი უანგაროდ ემსახურა თავის ხალხს და მშობლიურ ქვეყანას. მისი ცხოვრების განუზრელი დევიზი იყო და არის, თესოს ამქვეყნიური ადამიანური სიყვარული, დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ახლობლებსა და სიყრმის მეგობრებს, რის გამოც ის ხარობს და სიამოვნებას განიცდის. მისი მოქმედების კრედიტ სიკეთის კეთებაზეა დაფუძნებული.

დღეს იგი 80 წლის საიუბილეო თარიღს ვალმობდილი და ნელგამართული ხვდება.

ვულოცავთ ბატონ ჯიშალს საიუბილეო თარიღს. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, დღეიდან 100 წლამდე არ მოშლილიყოს მისი გამორჩეული, თბილი, სასიყვარულო პიროვნული თვისებები, რაც ჩვენ ყველას ძალიან გვჭირდება.

ვულოცავთ ქ-ნ ნუნუს და მისი დიდი ოჯახის ყველა წევრს შესანიშნავი მეუღლის, მამისა და კეთილი ბაბუის დაბადების დღეს!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

მერი შათირიშვილი, დავით, ლევან და გიორგი კუხალაშვილები

რვა თვის უკრინელი ბავშვი ჯო ენის კოსპიტალში გადაარჩინეს

ჯო ენის საუნივერსიტეტო პოსპიტალის მედპერსონალმა, უკრაინისთან სოლიდარობის ნიშნად, პაციენტი გუშინ ქართული და უკრაინული დროშებით გააცილა. ოჯახი საქართველოში, ბათუმში ომამდე ჩამოვიდა და საბრძოლო მოქმედებების გამო უკან დაბრუნება ვერ შეძლო. ოპერაცია, რომელიც მარტის თვეში კიევში შექონდათ დაგეგმილი, ომის გამო ვერ გაკეთდა და სამედიცინო მომსახურება ჯო ენის საუნივერსიტეტო პოსპიტალში გაენათ.

პაციენტი პოსპიტალში ბოლო 2 კვირის განმავლობაში იმყოფებოდა პოსტოპერაციულად. ხარჯები მთლიანად ჯო ენის საუნივერსიტეტო პოსპიტალმა გაიღო.



სასწავლო პროცესი შეჩვეული ფორმატით წარმართება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სასწავლო პროცესი 13 მაისიდან შეჩვეული (ჰიბრიდული) ფორმატით წარმართება.

„შესაბამისი ცვლილება შევიდა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2021 წლის 2 აგვისტოს ბრძანებაში.

რექტორის ბრძანების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის თუ მისი კომპონენტების წარმართვის ფორმატის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტი პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან, 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი და დამატებითი გამოცდები წარმართება არადისტანციურ, სრულად დასწრებით ფორმატში. გამონაკლისი და იშვება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე“, – აღნიშნულია განცხადებაში.

„სოციალური“ ქართული მებრძოლი დაიღუპა

მარიუშკოლში, „აზოვსტალი“ ფოლადის ქარხანაში ქართველი მებრძოლი, 27 წლის ტატო ბიგვავა დაიღუპა. ბიგვავა დაღუპვამდე ჯერ თავშესაფრიდან ბავშვებისა და მოხუცების ევაკუაციისთვის, შემდგომ ტარული დერეფნის უსაფრთხოებას იცავდა, ამის შემდეგ კი ტერიტორიის პატრულირებისას, აფეთქება მოხდა. ტატო ბიგვავა ოჯახს ბოლოს 7 მაისს ესაუბრა.

„მთავარი არხის“ ცნობით, ტატო ბიგვავა აზოვის პოლკის მეორე ასეულს ხელმძღვანელობდა. უკრაინის სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, ის ბატალიონში 2014 წლიდან ირიცხებოდა და დაახლოებით ერთი თვის წინ, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ სიმამაცის ორდენით დააჯილდოვა. ბიგვავას ოჯახი სოსუმბიდან დევნილია. ისინი უკრაინის მოქალაქეები არიან.

საბართველოვ, შინ შინ მოგცა შვილი დასაბარბავი!...

მწუხარება ლემსო თორაძის ბარდასვალაების გამო

ლემსო თორაძე აშშ-ში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა, სადაც 1983 წლიდან ცხოვრობდა. ის 69 წლის იყო. ლემსო თორაძე 1952 წლის 30 მაისს, თბილისში დაიბადა. თბილისის ცენტრალური სამუსიკოსკოლის დამთავრების შემდეგ, 1969 წელს ლემსო თორაძე ჩაირიცხა გ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (პროფ. ე. გურგენიჩის კლასი; 1970-1975 წლებში სწავლობდა პ. ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში (ბ. ზემლიანსკის კლასი), ხოლო 1978 წელს დაამთავრა ამავე კონსერვატორიის ასპირანტურა (პროფ. ლ. ნაუმოვის კლასი).



1969 წელს პიანისტი მუსიკოს-შემსრულებელთა ამიერკავკასიისა და საკავშირო კონკურსების ლაურეატი გახდა; 1975 წელს იტალიაში ა. კასაგრანდეს სახელობის საერთაშორისო კონკურსში მიიღო III პრემია, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში ვან კლაიბერნის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე – II პრემია.

ლემსო თორაძის საშემსრულებლო რეპერტუარი მოიცავს სხვადასხვა სტილის ნაწარმოებებს; მუსიკოსმა აღიარება მოიპოვა მოცარტის, ლისტის, პროკოფიევის, რახმანინოვის, სტრავენსკის, ჩაიკოვსკის და სხვ. ნაწარმოებთა შესრულებით; პიანისტის დისკოგრაფია საკმაოდ ვრცელია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი პიანისტ ალექსანდრე (ლემსო) თორაძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს და მის ოჯახს, ახლობლებსა და მთელს მუსიკალურ საზოგადოებას თანაგრძნობას უცხადებს.

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ თანამედროვეობის ერთერთი სახელოვანი, ვირტუოზი პიანისტის ალექსანდრე (ლემსო) თორაძის გარდაცვალების გამო. მისმა საშემსრულებლო ხელოვნებამ აღიარება მოიპოვა მთელ მსოფლიოში თავისი პიროვნების მასშტაბურობისა და ნიჭის დამახსოვრებით. ლემსო თორაძის პედაგოგიური ღვაწლი მომავალში კიდევ ბევრჯერ დაფასდება, რადგან მისი აღზრდილი თაობები წარმატებით მონაწილეობენ პრესტიჟულ ფესტივალებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წამყვან ორკესტრებთან და დირიჟორებთან ერთად.“

თანაგრძნობას ვუცხადებ ლემსო თორაძის ოჯახს, ახლობლებსა და მთელს მუსიკალურ საზოგადოებას, – ნათქვამია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილის განცხადებაში.



მემორანდუმი – „ახალგაზრდობის საბუნტოსა“ და „ოტია იოსელიანის საზოგადოებას“ შორის

საბარტოვილს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და „ოტია იოსელიანის საზოგადოებას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ახალგაზრდობის სააგენტოს მხრიდან მემორანდუმს მისმა ხელმძღვანელმა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, სოსო გორგაძემ მოაწერა ხელი, ხოლო „ოტია იოსელიანის საზოგადოების“ მხრიდან მისმა ხელმძღვანელმა, დანი (აბესალომ) იოსელიანმა. მემორანდუმს ხელი ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში მოეწერა და ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახ-



ალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ოტია იოსელიანის შთამომავლები და ოტია იოსელიანის სახელობის საკვირაო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები დაესწრნენ. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მემორანდუმის ფარგლებში, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და „ოტია იოსელიანის საზოგადოების“ თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესი იქნება ბავშვებსა და ახალგაზრდებში კულტურისა და ხელოვნების მიმართულებით ცნობიერების ასამაღლებლად და მათი საინტერესო პროექტებში ჩართულობისა და კულტურაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოსა“ და

„ოტია იოსელიანის საზოგადოებას“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გულისხმობს ქვეყნის წინსვლაში ეროვნული კულტურის, ხელოვნებისა და მისი განვითარების ხელშეწყობას, ასევე კულტურისა და ხელოვნების სფეროში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ცოდნის გაღრმავებას. კერძოდ, მემორანდუმის მიზანია, ბავშვებსა და ახალგაზრდებში ლიტერატურის, თეატრის, მხარეთ-

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
 შპს „ახალი საუკუნე“ №170
 მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 599 36-00-35
 პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
 599 53-76-16;
ალექს
ასლანიშვილი
 599 56-81-86;
 პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 53-76-16; 599 36-00-35
 შპს „თანამშრომლობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 იზაძევა სტამბა
„კოლორი“
 ე. პალდავაძის №3

კოლორი ჰაუფი
 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
 2 009882 616932

ავტორთა სახურა დღევანდელ!
 რედაქციის მიერ შეუქმნათაში მასალაში დაიბეჭდება
 ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შეხატულობა, გუდაამ არ ემთხვევათ რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს ავტორები.

თამარ გვერდითელი საქართველოში


რომორც სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნული, მას 9 მაისს მოსკოვში არ უმღერია. გავრცელდა ინფორმაცია, რომ 9 მაისს მოსკოვში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე იმღერა თამარ გვერდითელი, რაც არის სრული დეზინფორმაცია. სატელევიზიო ვერსია არის დამონტაჟებული და თამარის ეს გამოსვლა არის შარშანდელი 22 ივნისის კონცერტიდან ამოჭრილი და ჩასმული. საქართველოს დამსახურებული არტისტი თამარ გვერდითელი თვეზე მეტია, სამშობლოში იმყოფება. თბილისში, საკუთარ



სახლში მეგობრული და შემოქმედებითი საღამო გამართა ქართველ მუსიკოსებთან, თამარ ბენდის ბიჭებთან ერთად – თამარ გვერდითელი, დავით ჯაფარიძე, ირაკლი ყარაღაშვილი, პაატა ანდრიაძე...

როგორი არტისტი... 35 დოლარად

ტმხსაძემა ქალმა ლორა იანგმა ძველმანების მალაზიაში რომაული პერიოდის არტეფაქტი 35 დოლარად იყიდა. იანგმა მარმარილოს ბიუსტი რამდენიმე წლის წინ იყიდა, შემდეგ კი, როცა მან ბიუსტი სააუქციონო სახლ Sotheby-ს გასყიდა და გადასცა, გაირკვა, რომ ის ჩვენს საუკუნით თარიღდება. მარმარილოს ბიუსტი ბავარიის მეფის, ლუდვიგ I-ის ანტიკური კოლექციის ნაწილი იყო, მეორე მსოფლიო ომის დროს კი გერმანიაში გაქრა. სავარაუდოდ, ის ამერიკელმა ჯარისკაცმა წაიღო. უცნობია, ვინ ინახავდა არტეფაქტს ამდენი წლის განმავლობაში. ძველმანების მალაზიაში არის უკანა შესასვლელი, სადაც ადამიანებს ანონიმურად ნივთების მიტანა შეუძლიათ, და ზუსტად ასე მოიქცა ქანდაკების უცნობი მფლობელი. მეცნიერები ამ დრომდე არკვევენ, ვისი ბიუსტია აღმოჩენილი – ეს შეიძლება იყოს პომპეუსი, მისი შვილი, ან იმპერატორი ნერონი.



მოქალაქე პასუხს „ვიტორია“ ღაბრძავს



დილის „პოსტალიონის“ ეთერში ბავშვთა ხალხურ ანსამბლ „მართვისთან“ ერთად შესრულებული სიმღერის შემდეგ გააოხულარულე ბულ პასუხს პატრონი გამოუჩნდა. პასუხი „პოსტალიონის“ თანამშრომლებმა მოაწესრიგეს და ერთ-ერთმა მათგანმა შეიფარა კიდევ. მას გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სახელი „ვიტორია“ დაარქვეს.

სწოილი განგებულება ომის მონაწილეთა შორის

რუსეთის პირველ არხზე, 9 მაისსადმი მიძღვნილ კონცერტზე, სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანზე მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ფოტოებს შორის ცნობილი ამერიკელი მძარცველების, ბონისა და კლაიდის ფოტო აჩვენეს. სურათი ეკრანზე მაშინ გამოჩნდა, როდესაც ერთ-ერთი მომღერალი ასრულებდა სიმღერას „ომი რომ არ ყოფილიყო“. ორგანიზატორების ჩანაფიქრით, ეკრანზე ომის გამო დაშორებული წყვილების ფოტოები უნდა გამოჩენილიყო. პირველი არხის ვებგვერდიდან ტრანსლაციის ეს ეპიზოდი ამოიჭრეს. ბონი პარკერისა და კლაიდ ბეროუს ეს ცნობილი ფოტო 1933 წელს, მათ მკვლელობამდე ერთი წლით ადრე, ლუიზიანაში გადაღებული.



მერილინ მონროს სურათი 195 მილიონად გაიყიდა

მსახიობ მერილინ მონროს პორტრეტი Christie's ჭეჭიონზე 195 მილიონ დოლარად გაიყიდა. ეს მე-20 საუკუნეში შექმნილი და აუქციონზე გაყიდული ხელოვნების ნიმუშისთვის რეკორდული ფასია. ტილო 1960-იან წლებში ცნობილმა მხატვარმა ენდი უორჰოლმა შექმნა. პორტრეტს „ცის-

ფერი მერილინი“ ჰქვია. აუქციონის ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, რომ ლოტი დაახლოებით 200-მილიონ დოლარად გაიყიდებოდა. როგორც აუქციონის ორგანიზატორები აღნიშნავენ, პორტრეტი Shot Sage Blue Marilyn მეოცე საუკუნის ყველაზე ძვირადღირებული ნამუშევარი გახდა.

ამის გარდა, პორტრეტი აუქციონების ისტორიაში ლეონარდო და ვინჩის „სამყაროს მხსნელის“ შემდეგ ღირებულების მიხედვით მეორე ადგილზეა. და ვინჩის ნამუშევარი 2017 წელს 450,3 მლნ დოლარად გაიყიდა. 9 მაისს გამართული აუქციონის შემოსავალმა ჯამში 4317,8 მლნ შეადგინა. მიღებული თანხა გა-



გაზეთის მოქალაქე ნომერი გამოვა ორშაბათს, 16 მაისს

სსიპ

უსსოური ვალუტის ჯარისკ:
 აუუ დოლარი - 3.0261; აპრო - 3.1934
 ბრიტანული პირანქა სტაბილიზმი - 3.7387;
 100 რუბლი - 4.4197; თურქული ლირა - 0.2063;
 ანკარაპირანული მანათი - 1.7852;
 1000 სომხური დრამი - 6.5705.

აპილი 13 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარსი -	ლამი	+5,	ლფი +24
მთიანი რაიონები -	ლამი	+0,	ლფი +20
აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარსი -	ლამი	+5,	ლფი +24
მთიანი რაიონები -	ლამი	+1,	ლფი +23
თბილისი:	ლამი	+9,	ლფი +22

დაგვირეკით, მოგვწერით:
 ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
 და sakresp@top.ge
 ვებ-გვერდი: www.sakresp.ge